პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

15 აგვისტო შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 190 (14794)

## წიალის მზვერავთა წარმატება

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღალნაყოფიერად მუშაობს ჭიათურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიის კოლექტივი, რომელიც იბრძვის სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

წიალის მზვერავებმა ახალი წარმატება მოიპოვეს. მათ შვიდ თვეში რვა თვის დავალება შეასრულეს, მიიღეს 15.000 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ჭიათურელი წიალის მზვერავები ახალ მიჯნებს უტევენ.

## ინიციატორებმა ტემპი აიღეს

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის № 1 სამკერვალო ფაბრიკის (დირექტორი ნ. გვახარია) კოლექტივმა, რომელმაც გარკვეული წარმატება მოიპოვა მასალებისა და ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვაში, გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად ვალდებულება იკისრა 25 თებერვალს იმუშაოს დაზოგილი მასალებით და მოუწოდა რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს მხარი დაუჭირონ მის ინიციატივას და ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის.

მკერავებმა ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად გონივრულად მოაწყეს შრომა, ზრდიან პროდუქციის გამოშვების ტემპებს, საწარმოო [illegible] აყენებენ [illegible] [illegible] გაუმჯობესების ახალ რეზერვებს.

ფაბრიკაში პროდუქციის რეალიზაციის დავალება 103,7 პროცენტით შეასრულეს და გეგმას 517 ათასი მანეთით გადააჭარბეს, სასაქონლო და საერთო პროდუქციის გამოშვების სახელმწიფო გეგმა 105,2 პროცენტით გაანაღდეს, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 9.400 პალტო, 37.900 კაბა. შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით ექვს თვეში გაზარდეს 1,1 პროცენტით, ხოლო გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება 221 ათასი მანეთით შეამცირეს, დაზოგეს 16 ათასი კვადრატული მეტრი სხვადასხვა ქსოვილი, პროდუქციის ხარისხი გეგმასთან შედარებით 2 პროცენტით აამაღლეს.

ფაბრიკის ამ საერთო წარმატებებში ღირსეული წვლილი მიუძღვით ოსტატებს რ. ტარიელაშვილს, ც. ნავროზაშვილს, მკერავებს თ. ზეიკიძეს, ა. გეგუჩაძეს, ლ. რუბაშვილს, ჩამხაზველებს ლ. აკობიას, გ. ხომერიკს, გამომჭრელებს ჯ. ქარდავას, დ. შენგელიას.

## მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის

ПРАВДА

14 აგვისტოს მოწინავე

სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში. ეს პრინციპი საფუძვლად უდევს მათ მეცადინეობას, რომლის მიზანია დაძაბულობის შენელება, საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღება ევროპასა და მთელ მსოფლიოში.

მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი ერთადერთი გონივრული და პერსპექტიული საფუძველია სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა ურთიერთობისათვის. ამ პრინციპით განუხრელად ხელმძღვანელობს ჩვენი ქვეყანა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ურთიერთობაშიც.

მრავალი წლის მანძილზე საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტისას საბჭოთა კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა ხშირად საწინააღმდეგო პოლუსებზე აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. მაგრამ ისტორიის გაკვეთილები, ორივე ქვეყნის ხალხთა, ევროპის ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვდნენ ჩვენს სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობის მოწესრიგების გზაზე დაბრკოლებათა აღმოფხვრას.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შედეგად 12 აგვისტოს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის. სასიხარულოა, რომ, მოლაპარაკების სირთულისა და მთელი რიგი პრობლემებისადმი მიდგომაში სხვადასხვაობის მიუხედავად, საბოლოოდ მომზადდა გადაწყვეტილება, რომელიც ორივე მხარეს აკმაყოფილებს.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას, როგორც აღნიშნულია ხელშეკრულებაში, საერთაშორისო მშვიდობის შენარჩუნება და დაძაბულობის შენელების მიღწევა მიაჩნიათ თავიანთი პოლიტიკის დიდმნიშვნელოვან მიზნად. ისინი გამოთქვამენ მისწრაფებას ხელი შეუწყონ ვითარების ნორმალიზაციას ევროპაში და მშვიდობიანი ურთიერთობის განვითარებას ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის, ამ რაიონში არსებული ნამდვილი მდგომარეობის გათვალისწინებით.

ხელშეკრულების დამდები მხარეები დარწმუნებული არიან, რომ სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების საფუძველზე შეესაბამება ხალხთა მისწრაფებებს და საერთაშორისო მშვიდობის ფართო ინტერესებს.

ორივე მხარეს ერთნაირად მიაჩნია, რომ ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არავინ არ ხელყოფს თანამედროვე საზღვრებს. ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულებას კისრულობენ განუხრელად დაიცვან ევროპის ყველა სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა მათს ახლანდელ საზღვრებში. ისინი აცხადებენ, რომ არა აქვთ რაიმე ტერიტორიული პრეტენზიები ვისიმე მიმართ და არ წამოაყენებენ ასეთ პრეტენზიებს მომავალში.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ახლა და მომავალში ურღვევად მიაჩნიათ ევროპის ყველა სახელმწიფოს საზღვრები, როგორიც არის ეს საზღვრები ამ ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს, მათ შორის ოდერ-ნაისეს ხაზი, რომელიც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დასავლეთი საზღვარია, და საზღვარი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

ხელშეკრულების ამ დებულებებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მეორე მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი საზღვრების ურღვევობის აღიარება ევროპაში მშვიდობის უზრუნველყოფის კარდინალური საკითხია.

სსრ კავშირი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ხაზგასმულია ხელშეკრულებაში, თავიანთ ურთიერთობაში, აგრეთვე ევროპისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფის საკითხებში იხელმძღვანელებენ მიზნებითა და პრინციპებით, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში. ისინი დავას გადაწყვეტენ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. ხელშეკრულების დამდები მხარეები ვალდებულებას კისრულობენ საკითხებში, რომლებიც ევროპის უშიშროებასა და საერთაშორისო უშიშროებას ეხება, ისევე როგორც თავიანთ ურთიერთობაში, თავი შეიკავონ ძალის გამოყენების მუქარისა თუ ძალის გამოყენებისაგან. ხელშეკრულება არ ეხება მათ მიერ წინათ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

ხელმოწერილი დოკუმენტი საძირკველს უყრის საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შემდგომ განვითარებას, ევროპის უშიშროების განმტკიცებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხელშეკრულების ხელმოწერას მოჰყვება პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე, მათ შორის ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ დარგებში. ეს აისახა ხელშეკრულებაშიც. მხარეებმა გამოთქვეს გადაწყვეტილება გააუმჯობესონ და გააფართოონ ურთიერთთანამშრომლობა, მათ შორის ეკონომიური ურთიერთობის დარგში, აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობის დარგში ორივე სახელმწიფოს ინტერესებისათვის.

ვალდებულებანი, რომლებიც ხელშეკრულების დამდებმა მთავრობებმა იკისრეს, მათ აკისრებენ დიდ პასუხისმგებლობას, როგორც თავიანთი ხალხების წინაშე, ისე მთელი ევროპის წინაშეც. ამ ხელშეკრულებისადმი ერთგულება, მისი ყველა დებულების განუხრელი განხორციელება, უეჭველია, გახდება ევროპის კონტინენტზე სტაბილურობისა და სიმშვიდის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ელემენტი.

სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულება მოამზადა ევროპის სინამდვილის მთელმა განვითარებამ, საერთაშორისო ურთიერთობის ბუნებრივმა მსვლელობამ. ეს აქტი ერთ მწკრივში დგება სხვა ღონისძიებებთან, რომლებსაც ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები ახორციელებენ ევროპაში ვითარების გაჯანსაღებისა და უშიშროების საიმედო საფუძვლების შექმნისათვის. იგი შეესაბამება მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის საერთო კურსს, რომელსაც თანმიმდევრულად ახორციელებენ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სოციალისტური ქვეყნები.

საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებამ მთელი მსოფლიოს პოლიტიკური და საზოგადოებრივი წრეების დიდი ყურადღება მიიპყრო. საზღვარგარეთის პრესის გამოხმაურებებში სამართლიანად არის ხაზგასმული, რომ ამ მოვლენის მნიშვნელობა შორს სცილდება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს, რომ დადებული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ევროპაში პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებას და შეიძლება გარკვეული როლი შეასრულოს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაში. გამოხმაურებებში გაისმის არაკეთილმოსურნეთა ხმებიც. მაგრამ ეს იმათი ხმებია, ვისთვისაც უცხოა პოლიტიკური რეალიზმი, უცხოა ნამდვილი ზრუნვა ევროპის ხალხთა მშვიდობიანი მომავლისათვის.

სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულება უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებაა. ეს არის თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევი პოლიტიკური აქტი, იგი შეესაბამება ხანგრძლივი მშვიდობის ინტერესებს.

## სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის შესახვედრად

XXIV

50

### ასეთია ჩემი პირობა

როცა წავიკითხე ცნობა პარტიის მორიგი XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ და ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სახალხო მეურნეობაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, მეც გადავწყვიტე ჩემი წვლილი შევიტანო ამ საერთო საქმეში და ვიკისრე ასეთი ვალდებულებანი.

ყრილობის გახსნის დღემდე გეგმის ზევით გადავიყვანო 30 მძიმეწონიანი მატარებელი და გადავზიდო 12 ათას ტონა ზეგეგმითი ტვირთი; საზოგადოებრივ საწყისებზე კოლონის მემანქანეებთან ერთად შეკეთებიდან გამოვიყვანო ერთი ელმავალი და მას ვუწოდო სკკპ XXIV ყრილობის სახელი; ყრილობის დღეებში ვიმუშაო დაზოგილი ელექტროენერგიით; მოვამზადო ორი ახალი მემანქანე.

კოლონის მემანქანეებთან ერთად სისტემატურად მოვაწყო შაბათობა დეპოს ტერიტორიის კეთილმოსაწყობად; რაციონალური წინადადებების დანერგვით დავზოგო 1000 მანეთი.

ვკისრულობ რა ამ ვალდებულებებს, მოვუწოდებ სახალხო მეურნეობის ყველა მუშაკს ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას.

**მ. სტურუა,**
ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.



ოთხი წლის წინათ, თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ მოვიდა იური მარგალიტაძე რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ჭაბუკმა ცეცხლოვანი პროფესია აირჩია და გამოცდილი მეფოლადეების დახმარებით მალე დაეუფლა, დამოუკიდებლად დაიწყო მუშაობა და გეგმებს სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს. სურათზე: მოწინავე მეფოლადე იური მარგალიტაძე.

ფოტო მ. მორბუნოვისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

„საქავტოტექმომსახურების" სამმართველოს კოლექტივმა ხუთწლედის დამამთავრებელ წელს მკვეთრად გააუმჯობესა მოსახლეობაში ინდივიდუალურ მფლობელობაში მყოფი ავტომანქანების მომსახურება, განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვა მეორე კვარტალში და გეგმა 110,5 პროცენტით შეასრულა. შესრულებული სამუშაოების თვითღირებულება 40 ათასი მანეთით შეამცირა, შრომის ნაყოფიერება 5 პროცენტით აამაღლა, ხელფასის ფონდში გასწია 40 ათასი მანეთის ეკონომია, მიიღო 50 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ამ მაჩვენებლებით სამმართველოს კოლექტივმა გაიმარჯვა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამსახურებულად მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

გუშინ სამმართველოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ამ ჯილდოს გადაცემას.

კრება გახსნა სამმართველოს ადგილკომის თავმჯდომარემ მ. ადეიშვილმა.

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის პირველმა მოადგილემ ი. იორდანიშვილმა გულითადად მიულოცა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. გადასცა „საქავტოტექმომსახურების" სამმართველოს უფროსს ა. მიქაუტაძეს. მან კოლექტივის სახელით პირობა დადო, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესებენ მუშაობას, აამაღლებენ მომსახურების კულტურას.

კრებამ სკკპ XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 50 წლისთავის აღსანიშნავად მიიღო ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

* * *

მიმდინარე წლის მეორე კვარტალის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით „საქელექტრომონტაჟის" ტრესტის კოლექტივს მიენიჭა სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროსა და მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

ქართველმა მშენებლებმა ასეთი მაღალი შეფასება დაიმსახურეს კარგი მაჩვენებლებით. ტრესტმა, ისე როგორც ყველა მისმა ქვეგანაყოფმა გადაჭარბებით შეასრულა გეგმა. შესრულებულია ელექტროსამონტაჟო სამუშაოებისა და ობიექტების ამოქმედების დავალება. (საქდესი).

## მაგნიტოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ მაგნიტოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის ორდენოსანი მეტალურგიული კომბინატის სახელოვან კოლექტივს თვალსაჩინო შრომითს მიღწევას — ფოლადსადნობი აგრეგატების ამუშავების დღიდან 200 მილიონი ტონა ფოლადის გამოშვებას.

პარტიის ნებით, მთელი საბჭოთა ხალხის შრომით გოელროს ლენინური გეგმით შექმნილი მაგნიტკა მძიმე ინდუსტრიის ნამდვილი ფლაგმანი გახდა.

თავისი მუშაობის პირველი დღეებიდანვე მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის კოლექტივი გახდა სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის აქტიური მონაწილე, დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში. კომბინატის კოლექტივს დიდი დამსახურება მიუძღვის ხარისხოვანი ლითონით თავდაცვითი მრეწველობის უზრუნველყოფაში დიდი სამამულო ომის დროს.

თქვენი კოლექტივი ბეჯითად მუშაობდა, რათა აემაღლებინა წარმოების ეფექტიანობა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საფუძველზე, უფრო სრულად გამოეყენებინა საწარმოო სიმძლავრენი, გაეუმჯობესებინა ტექნოლოგიური პროცესები, რის შედეგადაც ომის შემდეგ კომბინატში მკვეთრად გაიზარდა ლითონის წარმოება, მიღწეულია ქვეყნის მეტალურგთა შორის საუკეთესო მაჩვენებლები შრომის ნაყოფიერების საქმეში, გადაჭარბებით შესრულებულია ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების საპროექტო სიმძლავრეები, მიღებულია მილიარდობით მანეთი მოგება. კომბინატის მებრძმედეთა, მეფოლადეთა, მგლინავთა ბევრ პატრიოტულ წამოწყებას ფართოდ უჭერენ მხარს და წარმატებით იყენებენ ქვეყნის მეტალურგიულ საწარმოებში.

მაგნიტოგორსკის კომბინატი გახდა მეტალურგთა კადრების სამჭედლო. სხვა მეტალურგიულ საწარმოებში მომუშავე ბევრმა სპეციალისტმა კომბინატში აღზრდის კარგი სკოლა გაიარა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები კვლავაც იქნებიან ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, აამრავლებენ ჩვენი გმირი მუშათა კლასის დიდებას, ძალღონეს არ დაიშურებენ იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დასახეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოლაპარაკება

### სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმების კოორდინაციის საკითხებზე

1970 წლის 13 აგვისტოს მოსკოვში, საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დავალებით, გაიმართა მოლაპარაკება სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის საკითხებზე.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. კ. ბაიბაკოვის მეთაურობით. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციას მეთაურობდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე გ. შიურერი.

მოლაპარაკების დროს მხარეთა დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის პროცესში დაიდო მთელი რიგი სამთავრობათაშორისო კომპლექსური შეთანხმებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას, საკონსტრუქტორო სამუშაოებს, ქიმიური, ელექტრონული და ელექტროტექნიკური მრეწველობის, აგრეთვე მანქანათმშენებლობის მთელ რიგ პროგრესულ ნაკეთობათა წარმოების სიმძლავრეთა შექმნას ორივე ქვეყნის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ზემოაღნიშნული შეთანხმებანი შეესაბამება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებს, ხოლო მათმა შესრულებამ უნდა უზრუნველყოს წარმოების უმნიშვნელოვანეს დარგებში უმაღლესი მეცნიერულ-ტექნიკური დონე, თანამედროვე მანქანების, მოწყობილობისა და სხვა სამრეწველო პროდუქციის ურთიერთმიწოდების გაფართოება შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების საფუძველზე.

გეგმების კოორდინაციის პროცესში მხარეებმა შეათანხმეს 1971-1975 წლებში ძირითადი საქონლის ურთიერთმიწოდების სიები, რომლებიც მიიღეს როგორც სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალი ხუთწლედის გრძელვადიანი სავაჭრო შეთანხმების, აგრეთვე წლიური სავაჭრო ოქმებისა და სხვა ეკონომიურ შეთანხმებათა მომზადების საფუძველი.

როგორც მოლაპარაკების დროს აღინიშნა, გეგმების კოორდინაციისათვის გაწეული მუშაობის შედეგად მხარეები შეთანხმდნენ, რომ 1971-1975 წლებში საქონელბრუნვა სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მიმდინარე ხუთწლედის საქონელბრუნვასთან შედარებით 56 პროცენტით გაზარდონ. 1971-1975 წლებში სასაქონლო მიწოდების საერთო მოცულობა მიაღწევს 22 მილიარდ მანეთს. ურთიერთ მიწოდებისათვის გათვალისწინებულ საქონელს შეიტანენ ორივე ქვეყნის 1971-1975 წლების სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმების შესაბამის ნაწილებში. აგრეთვე აღინიშნა, რომ გეგმების კოორდინაციის დროს შეთანხმებული სასაქონლო მიწოდების მოცულობა და სტრუქტურა ხელს შეუწყობს როგორც სსრ კავშირის, ისე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ეკონომიური ეფექტიანობის გადიდებას.

ორივე მხარის დელეგაციებმა დადებითად შეაფასეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 1971-1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციის შედეგები და აღნიშნეს, რომ ამ მუშაობის დროს მიღებული გადაწყვეტილებანი ხელს შეუწყობენ სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებასა და განმტკიცებას, სოციალისტური ინტეგრაციის პროცესების განვითარებასა და გაღრმავებას ორივე ქვეყნის მატერიალური წარმოების სფეროში, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სპეციალური XXIII და XXIV სესიების გადაწყვეტილებათა კონკრეტულ განხორციელებას.

მოლაპარაკების შედეგად ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების გეგმების კოორდინაციის ოქმს.

## გულითადი მილოცვები

ღირსშესანიშნავი თარიღის — იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიური ჩაგვრისაგან კორეის განთავისუფლების 25 წლისთავის გამო ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ვ. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარეს ამხანაგ კიმ ირ სენს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ცოი ენ გენს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით კორეის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების პრეზიდიუმს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს, მთელ კორეელ ხალხს გულითადად მიესალმებიან და უსურვებენ ყოველივე საუკეთესოს.

საბჭოთა არმიის მიერ იაპონიის მილიტარიზმის რჩეული ძალების განადგურების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის შედეგად, ნათქვამია დეპეშაში, კორეელმა ხალხმა თავისი ისტორიის მანძილზე პირველად მოიპოვა ნამდვილი თავისუფლება და ეროვნული დამოუკიდებლობა, დაადგა სოციალისტური განვითარების გზას.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ 25 წლის მანძილზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით ძირეული რევოლუციური გარდაქმნები მოახდინეს პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში, დიდ წარმატებებს მიაღწიეს ახალი საზოგადოების მშენებლობაში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილი საბჭოთა ხალხი გულწრფელი სიყვარულით აღიქვამს მოძმე კორეელი ხალხის მიღწევებს თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის შემოქმედებითს შრომაში, უცვლელად უწევდა და უწევს უანგარო მხარდაჭერასა და დახმარებას კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალიზმის მშენებლობას.

განვლილმა 25 წელმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ პრინციპებზე დაფუძნებული სსრ კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა შეესაბამება ორივე სახელმწიფოს ხალხთა ძირეულ ინტერესებს, სოციალისტური ქვეყნების შეკავშირების განმტკიცების ინტერესებს იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ, აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

დეპეშაში მთელ მოძმე კორეელ ხალხს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, მშვიდობიან დემოკრატიულ საფუძვლებზე ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

(საქდესი).

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. მ. ი. დუდუჩავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნებათმცოდნეობის დარგში დამსახურებისათვის, დაბადების სამოცი წელთან დაკავშირებით ამხ. მამია იოსების-ძე დუდუჩავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 14 აგვისტო.

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**ამხ. ვ. გ. ურჯუმელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათი წელთან დაკავშირებით, მწერალი ვანო (ივანე) გიორგის-ძე ურჯუმელაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1970 წლის 14 აგვისტო.

## საკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

პარტიული კომიტეტის პლენუმებსა და აქტივის კრებებზე

# შესაძლებლობა და სინამდვილე

[illegible]

რ. ბასილაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# სინათლე და ჩრდილი

[illegible]

# საშუალო მაჩვენებლების მიღმა...

[illegible] საზოგადოებრივი მეურნეობის მდგომარეობაზე სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, მიწათმოქმედების სტრუქტურის სრულყოფის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდებისათვის. პლენუმზე მოყვანილ იქნა ასეთი ციფრები: რაიონმა ხუთწლედის 4 წლის გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიჰყიდა 15.335 ტონა ყურძენი, 117 ტონა ხილი, 2.193 ტონა მარცვლეული, 355 ტონა ხორცი, 833 ტონა რძე, 1,5 მილიონი ცალი კვერცხი, 21,5 ტონა აბრეშუმის პარკი და სხვ.

[illegible] ების ზრდას.

რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია მევენახეობა. მართალია, უკანასკნელ წლებში სულ უფრო იზრდება ყურძნის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. მაგრამ ეს უმთავრესად ვენახების ფართობის ზრდის ხარჯზე ხდება და არა მოსავლიანობის გადიდებით. ამას ის ადასტურებს, რომ უკანასკნელი 4 წლის მანძილზე რაიონში ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 45 ცენტნერს არ აღე- [illegible] მნელოვან რეზერვს, როგორიც არის სიმინდი. ამის შედეგად რაიონში უკანასკნელი 3-4 წლის მანძილზე სიმინდის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 15 ცენტნერს არ აღემატება.

პლენუმმა დასახა ღონისძიებანი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ა. თვალიაშვილი,
„კომუნისტის" საკ. კორ.

# მეურნეობა — სამეურნეო ანგარიშზე

სოფელ ნარაზენის ტერიტორია, სადაც ამჟამად ორი ჩაის საბჭოთა მეურნეობა და ჩაის ფაბრიკაა, გაუვალ ტყეს წარმოადგენდა. ამ ტერიტორიაზე პირველ ხუთწლედში საფუძველი ჩაეყარა ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობას. გაშენდა 1.100 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ტყით და ეკალ-ბარდით დაფარული ტერიტორია მალე დაამშვენა ხავერდოვანმა ჩაის ბუჩქებმა, გაყვანილ იქნა გზები, გაშენდა მუშათა საცხოვრებელი ბინები.

1946 წელს ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობას ცალკე გამოეყო ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც გადაეცა 765 ჰექტარი ფართობი. აქედან 547,6 ჰექტარი ჩაის პლანტაციებია. წლების განმავლობაში სახე იცვალა მეურნეობამ, ყოველწლიურად იზრდება ჩაის ფოთლის მოსავლიანობა, უმჯობესდება მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები. განმტკიცდა მეურნეობის ეკონომიკა. მიმდინარე ხუთწლედში აშენდა 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლები, მეურნეობის ცენტრში მოწყობილია პარკი-ხეივანი, მოასფალტებულია ზუგდიდ-ხეცერის გზა, გაყვანილია ახალი წყალსადენი.

ხუთწლედში გეგმით მეურნეობას უნდა მოეკრიფა 9.800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო ფულადი შემოსავალი მიეღო 6.741.121 მანეთი. პარტიის წინაშე დასახული ამ დიდი ამოცანის შესრულების საქმეს მეურნეობის კოლექტივმა ენერგიულად მოჰკიდა ხელი. ხეცერელებმა დიდი წარმატება მოიპოვეს. ხუთწლედში გათვალისწინებული 9.800 ტონის ნაცვლად ჯერ კიდევ 8 ივნისისათვის მოკრეფილ იქნა 9.850 ტონა ხარისხოვანი ნედლეული.

პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1969 წლიდან მეურნეობა გადავიდა სრულ სამეურნეო ანგარიშზე. სამეურნეო ანგარიში დიდი ეკონომიური ბერკეტია წინსვლის გზაზე. წარმოების მართვის ახალი რეფორმის განხორციელებით, შიდასამეურნეო ანგარიშის დანერგვით საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ახალ წარმატებებს მიაღწია.

თუ რა მისცა ჩვენს მეურნეობას სამეურნეო ანგარიშმა, ნათლად ჩანს 1969 წლის შედეგების მონაცემებიდან.

1968 წელს მეურნეობას უნდა ეწარმოებინა 1870 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მიეღო 1.186.400 მანეთი ფულადი შემოსავალი. მეურნეობა დაგეგმილი იყო 112,8 ათასი მანეთი ზარალით, ფაქტიურად ზარალმა შეადგინა 220 ათასი მანეთი. მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებსა და სპეციალისტებს წლის ბოლოს დაერიცხათ 40.700 მანეთი. არ იყო შექმნილი მატერიალური წახალისების ფონდი.

სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პირველ, 1969 წელს მეურნეობაში გეგმით გათვალისწინებული 1.875 ტონის ნაცვლად მოიკრიფა 1.984,8 ტონა ჩაის ნედლეული. დიდი გადაჭარბებით შესრულდა დაფნის ფოთლის, ტუნგოს, მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმები. ფულადმა შემოსავალმა გეგმით გათვალისწინებული 1.610.122 მანეთის ნაცვლად 1.686,801 მანეთი შეადგინა. მიღებულია 365.352 მანეთი მოგება ნაცვლად 331.000 მანეთისა.

წლის ბოლოს მუშა-მოსამსახურეებსა და სპეციალისტებს დაერიცხათ დებულებით და პრემიის სახით 132.369 მანეთი. მეურნეობაში შეიქმნა მატერიალური წახალისების ფონდი, რომელმაც 52.650 მანეთი შეადგინა.

თავი ისახელა მეურნეობის № 1 აგროგანყოფილებამ (მმართველი აგრონომი გ. კოდუა), რომელმაც აწარმოვა 390 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 327 ტონისა. მოკრეფილი ჩაის 67,4 პროცენტი პირველი ხარისხისა იყო. ფულადმა შემოსავალმა 325.141 მანეთი შეადგინა ნაცვლად 271.085 მანეთისა.

გადიდებული ამოცანების წინაშეა მეურნეობა 1970 წელს. მეურნეობამ უნდა მოკრიფოს 1.875 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ ამოცანის შესრულებისათვის მეურნეობის კოლექტივი წლის დასაწყისიდან დაირაზმა. მაღალ დონეზე განხორციელდა აგროტექნიკური ღონისძიებანი. შემოდგომაზე შეტანილ იქნა ფოსფოროვანი და კალიუმიანი სასუქები. ნიადაგის საზამთრო დამუშავება 15 იანვრისათვის დამთავრდა. შემოდგომაზე ჩატარდა ჩაის ფუმიგაცია 25 ჰექტარზე, შეკეთდა საპლანტაციო არხები, დროულად განხორციელდა ჩაის ბუჩქის გასხვლა-ფორმირება. აზოტოვანი სასუქის პირველი დოზა შეტანილ იქნა აპრილში და მეურნეობა კარგად მოემზადა ჩაის კრეფის სეზონისათვის და უკვე შეასრულა ჩაის კრეფის წლიური დავალება.

უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ კიდევ მეტად დაბალია ჩაის პლანტაციებზე მექანიზაციის დონე. ეს მდგომარეობა უნდა გამოვასწოროთ. აქვე მინდა შევეხო ერთ საკითხს. ჩვენ კარგი შედეგი მოგვცა კრასნოდარის მხარის დაგომისის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში შექმნილი ჩაის სასხლავი აპარატის „დრუჟბის" გამოყენებამ. ამ აპარატზე მომუშავე ორ კაცს შეუძლია შეცვალოს 8-10 მუშა. შარშან პრესაში გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ აღნიშნული სასხლავი აპარატის მასობრივი წარმოება დაიწყებოდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებლო ქარხანაში. მაგრამ აღნიშნული მანქანები ჯერჯერობით არსად ჩანს. კარგი იქნება, თუ ამ მანქანებით მოგვამარაგებენ.

წელს ბევრი რამ გაკეთდა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მიღებული პროდუქციიდან მუშა-მოსამსახურეებს იაფად ეძლევათ რძე და რძის ნაწარმი. წელს პირველად მოეწყო 1.5 ჰექტარზე ბოსტანი, სადაც უნდა მივიღოთ 15 ტონა ბოსტნეული. ამჟამად მუშა-მოსამსახურეები უზრუნველყოფილი არიან ადგილობრივი წარმოების ბოსტნეულით.

ბევრია გასაკეთებელი მშენებლობის დარგში. [illegible] ახალი კაპიტალური [illegible] ტრუქცია გაუკეთდა [illegible] კაპიტალურ სახლს, რეკონსტრუირებული იქნება კიდევ 2 სახლი. მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო კომბინატის, საბავშვო ბაგა-ბაღის, პურის საცხობის, 24-ბინიანი საცხოვრებელი სახლის და სხვ. მშენებლობა.

მეურნეობის კოლექტივი ჩაება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში და გადაწყვიტა სეზონის ბოლომდე მოკრიფოს 2.050 ტონა ჩაის ფოთოლი, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის შედეგად ცენტნერი ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოების თვითღირებულება შეამციროს 1 მანეთით.

მეურნეობის კოლექტივი ყველაფერს გააკეთებს შრომის სწორი მეცნიერული ორგანიზაციის, მომჭირნეობისა და ყაირათიანობის, ეკონომიის რეჟიმის დანერგვისათვის. ამ საფუძველზე წელს სახელმწიფოს მივცემთ 400.000 მანეთ მოგებას ნაცვლად 323.220 მანეთისა.

პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები ფართო აქტივზე დაყრდნობით თავიანთ წვლილს შეიტანენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ვ. კვარაცხელია,
ზუგდიდის რაიონის ხეცერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.



სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის ენერგიულად შრომობს ზუგდიდის რაიონის აბასთუმნის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ეთერ გოგია. მან უკვე შეასრულა ჩაის კრეფის წლიური გეგმა. ახლა დამატებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის იბრძვის.

სურათზე: მოწინავე მეჩაიე ე. გოგია.

ფოტო თ. ფუტკარაძისა.

# ყველაფერი სკოლებისა და მოსწავლეებისათვის!

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა

ახალი სასწავლო წლისათვის სავაჭრო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტების მომზადების საკითხს მიეძღვნა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა. სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის განათლების სამინისტროს, ცეკავშირის, მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროების წარმომადგენლები, უწყებების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციების ხელმძღვანელები, სანიტარიული სამსახურის პასუხისმგებელი მუშაკები და სხვები.

კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო ნაკლოვანებებს, რომლებიც არის სასკოლო-საკანცელარიო საქონლით, ტანსაცმლით, ფეხსაცმლით ვაჭრობისათვის მზადებაში, აგრეთვე 1970-1971 სასწავლო წელს მოსწავლეთა კვებით უზრუნველყოფისათვის მზადებაში.

საკმარისი რაოდენობით არის შეკერილი მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმელი. მაგრამ მთლიანად მრეწველობამ ვერ შეასრულა მისი წარმოების გეგმა. 2.800 ათასი მანეთი საერთო თანხის მოსწავლეთა ფორმის ტანსაცმლის გამოშვების ნაცვლად გეგმით წარმოებულია 2 მილიონი მანეთის ტანსაცმელი.

აჭარის ასს რესპუბლიკისა და ქუთაისის სავაჭრო ბაზებს დამაკმაყოფილებლად არ ამარაგებენ მოსწავლეთა ფეხსაცმლით.

კოლეგიაზე აღინიშნა, რომ სკოლების სასადილოებსა და ბუფეტებში არ ყოფნით დასაჯდომი ადგილები, რაც დამატებით სიძნელეებს ქმნის კვების ორგანიზაციაში. სკოლებში თვითეულ ათას მოსწავლეზე საშუალოდ მოდის 29 ადგილი ნორმით გათვალისწინებული 250-ის ნაცვლად. თბილისის 61-ე, 83-ე, 94-ე, 116-ე, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, ახალციხისა და მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და სოფლების სკოლების სასადილოები და ბუფეტები მოთავსებულია მოუწყობელ და შეუფერებელ ოთახებში.

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალ ნაგებობათა მშენებლობა, სასკოლო კვების ქსელის გაფართოება. ამ საქმეში საკმარის დაინტერესებას არ იჩენენ საშეფო ორგანიზაციები.

აღინიშნა, რომ სკოლის სასადილოებსა და ბუფეტებს საკმარისად არ ამარაგებენ ბოსტნეულით, ხილით, წვენებით. ერთფეროვანია საუზმე.

კოლეგიის სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი კვების სასკოლო ქსელში სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის მდგომარეობასა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში, როცა იზრდება კუჭ-ნაწლავის ინფექციური დაავადებების საფრთხე.

განხილულ საკითხებზე ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიამ დასახა კონკრეტული პრაქტიკული ღონისძიებანი.

კოლეგიამ რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინაშე დასახა საკითხი, რომ შესაბამისი მითითებანი მისცეს დაქვემდებარებულ საწარმოებს უზრუნველყონ მოსწავლეთათვის გეგმით გათვალისწინებული ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შეკერვის გეგმის შესრულება.

სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ვალდებული არიან საჭირო ღონისძიებანი განახორციელონ, რათა დააჩქარონ სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტების რემონტის დამთავრება, უზრუნველყონ ისინი შესაბამისი მოწყობილობით, ჭურჭლით და ინვენტარით, დაიცვან სანიტარიულ-ჰიგიენური წესები.

მოსწავლეთა შეუფერხებელი კვების უზრუნველსაყოფად წამოყენებულია წინადადება შეიქმნას ისეთი პროდუქტების მარაგი, რომლებიც მალე არ ფუჭდება. სკოლის სასადილოებსა და ბუფეტებს შეუფერხებლად უნდა ამარაგებდნენ ბოსტნეულით, ხილით, წვენებით, მტკიცედ იცავდნენ სადილისა და საუზმის დადგენილ ასორტიმენტს.

კოლეგიამ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინაშე დასვა საკითხი, რომ ამ უკანასკნელმა განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რათა გააფართოოს ადგილები სკოლის სასადილოებსა და ბუფეტებში, საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს დაუბრუნოს ნაგებობანი, რომლებიც გათვალისწინებულია სკოლების სასადილოებისა და ბუფეტების მშენებლობის გეგმით, და მომავალში არ დაუშვას მათი გამოყენება სხვა მიზნებით.

განათლების ადგილობრივი ორგანოები უნდა დაეხმარონ სავაჭრო ორგანიზაციებს მოსწავლეთა შორის სადილისა და საუზმის აბონემენტების გავრცელებაში, უშუალოდ საკლასო ოთახებში უმცროსი კლასების მოსწავლეთა კვების ორგანიზაციაში, აგრეთვე მოაგვარონ მშობელთა კომიტეტის წევრების, მასწავლებლების, უფროსკლასელების მუდმივი მორიგეობა სკოლის სასადილოებსა და ბუფეტებში.

კოლეგიამ სთხოვა საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს უზრუნველყოს სავაჭრო ორგანიზაციათა განაცხადების თანახმად მოსწავლეთა კვებისათვის პროდუქტების წვრილი დაფასოება და ჩამოსხმა.

კოლეგიამ სთხოვა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მისცეს მითითება ავტოკოლონათა უფროსებს შეუფერხებლად გამოყონ ავტომანქანები სასკოლო კვების პროდუქტების გადასაზიდად.

ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის გაფართოებულმა სხდომამ გამოთქვა რწმენა რომ ყველაფერი გაკეთდება რათა სანიმუშოდ მოვემზადოთ ახალი სასწავლო წლისათვის. (საქინფორმი).

# საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ვ. ტრაპაიძის მოხსენება საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის 1970 წლის პირველი ნახევრის შესრულების შედეგების შესახებ. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმატებით სრულდება. სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ნახევარი წლის გეგმა შესრულდა 105,9 პროცენტით. მათ შორის: რესპუბლიკური ბიუჯეტისა — 105,8 პროცენტით და ადგილობრივი ბიუჯეტისა — 107,5 პროცენტით.

ამასთან აღინიშნა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის 1970 წლის პირველი ნახევრის შესრულების საქმეში არის ზოგიერთი ნაკლოვანებანი.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მთლიანად შესრულდა მოგების გეგმები. მსუბუქი მრეწველობის, მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის, კავშირგაბმულობის სამინისტროებმა, „საქკონსერვხილბოსტნის" სახელმწიფო კომიტეტმა და სხვებმა ვერ უზრუნველყვეს მოგების გეგმის შესრულება. ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების ნახევარი წლიური გეგმა ვერ შეასრულეს მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებმა, „საქნავთობმომარაგების" სამმართველომ, „საქმონტაჟსპეცმშენის" სამმართველომ და სხვ.

აღნიშნული სამინისტროებისა და უწყებების მიერ ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ მათ ვერ შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის დავალებები, გააძვირეს პროდუქციის თვითღირებულება, დაუშვეს არამწარმოებლური ხარჯები, დანაკარგები და სხვ.

რესპუბლიკის რიგ რაიონებში (აბაშის, მახარაძის, წულუკიძის და სხვ.) არ შესრულდა სანახაობითი ღონისძიებათა გადასახადის გეგმები, ხოლო ქალაქ რუსთავის, ადიგენის, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, ცხაკაიას რაიონების კოოპერაციულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ვერ შეასრულეს საშემოსავლო გადასახადების საგეგმო დავალებანი.

ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციას დიდი რაოდენობით აქვს გადასახადების ნარჩენები.

ბიუჯეტის გადასახდელებისა და შემოსულობათა ნარჩენები აქვთ აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში, ქალაქ ზუგდიდში, აბაშის, ახმეტის, ზესტაფონის, ცაგერის რაიონებში, ზოგიერთ სხვა რაიონსა და ქალაქში.

ნაკლოვანებებია აგრეთვე გამოყოფილი სახსრების ათვისების საქმეში, ძირითადად სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხაზით (კვების მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების სამინისტროები). ზოგიერთი სამინისტროს, უწყების და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების სუსტი კონტროლის შედეგად იყო მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასების დაგვიანებით გაცემის შემთხვევები.

განსახილველი საკითხის გამო კამათში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: ზ. ხოლუაშვილი, მ. ყულიევი, უ. კაზარიანი, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე ი. ბეროზაშვილი, მშენებლობის მინისტრის მოადგილე მ. ზოდელავა, საქნავთობმომარაგების სამმართველოს უფროსი გ. კობალაძე, ზესტაფონის და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები მ. სამხარაძე და შ. კოპაძე, ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ბ. ბოკუჩავა და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დ. გელაშვილმა.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე. (საქინფორმი).

# მომზადებული შევხვდეთ რთველს

სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ოდითგანვე დიდი ხვედრითი წონა ჰქონდა და აქვს მევენახეობას. ეს დარგი ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში წამყვანია. იგი მშრომელთა შეძლებულობის ძლიერი წყაროა. ამიტომ არის რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებენ მევენახეობის შემდგომი განვითარებისა და ხარისხოვანი ქართული სამარკო ღვინოების, კონიაკების დამზადებისათვის რომლებსაც მრავალჯერ დაუმსახურებიათ დიდი შეფასება — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები.

საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების კვალობაზე უკანასკნელ წლებში მკვეთრად განვითარდა მევენახეობა. რამდენიმე წელიწადში რესპუბლიკაში გაშენდა ათეულ ათასობით ჰექტარი ახალი ვენახი. ამის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა ყურძნის წარმოება და ხარისხოვანი ღვინოების გამოშვება. ხუთწლედის ოთხ წელიწადში საშუალოდ წელიწადში დამზადდა 270 ათასი ტონა ყურძენი. წინა ხუთწლედის წლებში კი დიდად ნაკლები მზადდებოდა.

საჭიროა შემდგომ კვლავაც გავადიდოთ საზოგადოებრივ მეურნეობათა ვენახების ფართობები და, რაც მთავარია, ხარისხოვანი ნედლეულის წარმოება.

გასული წლების კარგ ტრადიციებზე დაყრდნობით ჩვენმა მევენახეებმა, ღვინის მრეწველობის მუშაკებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ. რათა წელს უთუოდ შესრულდეს ყურძნის დამზადების დავალება, რომელიც 340 ათას ტონას ითვალისწინებს. რთველი კარზეა მომდგარი. ეს კი ავალებს დამამზადებელ ორგანოებს, ყურძნის გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკებს უზრუნველყონ ამ ძვირფასი ნედლეულის შეუფერხებლად, დროულად მიღება, ხარისხიანი პროდუქციის გამომუშავება.

ახალ ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება ყურძნის წარმოება და დამზადება. ეს სამტრესტის კოლექტივს ავალებს ამთავითვე გაითვალისწინოს მოსალოდნელი სიძნელენი და დროულად მიიღოს ზომები ნედლეულის მიღებისა და გადამუშავების სიმძლავრეთა გადიდებისათვის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის. ყველა ამ საკითხს სერიოზული ყურადღება დაუთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ივლისის პლენუმმა, რომლის გადაწყვეტილებათა შესრულება ჩვენი კოლექტივის სახელისა და ღირსების საქმეა.

უკვე დადგა რთვლისათვის მზადების გადამწყვეტი პერიოდი. ჩვენ ვალდებული ვართ სანიმუშოდ მოვემზადოთ. წელს რესპუბლიკის კვების მრეწველობის სამინისტროს მეღვინეობის მრეწველობა ყურძნის ბარაქიან მოსავალს მოელის. წინასწარი მონაცემებით გათვალისწინებულია წელს მივიღოთ და გადავამუშაოთ 380 ათასი ტონა ყურძენი. აქედან უნდა გამოიმუშაონ 25 მილიონ დეკალიტრამდე ღვინო-მასალა, მათ შორის საქართველოსათვის დამახასიათებელი და საქვეყნოდ აღიარებული მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინო-მასალა 1.700 ათასი დეკალიტრი და 300 ათასი დეკალიტრი ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ღვინო-მასალა.

საქართველოს ვენახების ფართობების ზრდასთან ერთად ფართოვდება ყურძნის გადამამუშავებელი ქარხნები. ქართველ მევენახეთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათმა თავდადებულმა შრომამ და ქართული ვაზის სიყვარულმა განსაკუთრებული შედეგი გამოიღო. უკანასკნელი წლების განმავლობაში გაიზარდა ყურძნის მოსავალი და იგი სტაბილური გახდა. ახლა ყურძნის სარეკორდო მოსავალს იღებენ არა მარტო ცალკეული მევენახეები და ბრიგადები, არამედ მეურნეობები. თუ წინათ 40-50 ცენტნერი ყურძენი ჰექტარზე დიდ მოსავლად ითვლებოდა, ახლა 80-100 ცენტნერი ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

მძიმე გვალვიანი დღეები აგვისტოს დასაწყისში შეიცვალა წვიმებით, რომელმაც საგრძნობლად გამოასწორა ვენახების მდგომარეობა. კიდევ ოცი დღე და საქართველოში გაჩაღდება რთველი. ამ პასუხსაგები პერიოდისათვის მზადება ყველა ღვინის ქარხანაში დასასრულს უახლოვდება. მზადდება ტარა-ჭურჭელი, იყრება ქვევრები, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მუხის ახალი ბუტების აწყობა, შენდება ჭაჭის შესანახი აუზები, ფართოვდება და ზოგიერთ ქარხანაში ახლად შენდება ყურძნის მისაღები განყოფილებები, ინერგება ყურძნის მექანიზებული გადამამუშავებელი კომპლექსური ახალი ხაზები, ეწყობა მექანიზებული ამწევებით ხვიმირაში ყურძნის მიწოდება, ყურძნის ავტომატიზებული მიმღები პუნქტები, სადაც ყურძნის აწონა, ყურძნის წვენში შაქრიანობის განსაზღვრა და საბუთების გაფორმება ავტომატურად მოხდება (მუკუზნის № 2 და კარდანახის ღვინის ქარხნებში).

მიმდინარე წელს ამუშავდება ახალი საწნეხე განყოფილებები სიმონეთის, ვანის, ამაღლების, ბოდბე-მაღაროს ღვინის ქარხნებში, რეკონსტრუქცია უკეთდება სვირის, თერჯოლის, ზესტაფონის ცენტრალური და კვალითის, დიმისა და ობჩის ღვინის ქარხნებს. ახმეტის, წინანდლის და გურჯაანის ღვინის ქარხნებში ინერგება კარუსელური სისტემის დიდი წარმადობის კალათიანი წნეხები, რომლებიც განკუთვნილია მაღალხარისხოვანი სამარკო ღვინო-მასალის დასამზადებლად. მონტაჟდება დიდი წარმადობის განუწყვეტელი მოქმედების წნეხები საათში 20-30 ტონის წარმადობისა (გურჯაანის, ველისციხის, ვანის, სიმონეთის, თერჯოლის, ზესტაფონის, კვალითის და სხვა ქარხნებში).

დიდად შეამცირა შრომატევადი სამუშაოები ავტოძარებმა, რომელთა საშუალებით ხდება ყურძნის უტაროდ გადაზიდვა. ამ მხრივ განსაკუთრებული სამუშაოები მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოს ღვინის ქარხნებში. წელს დამატებით გამოყენებული იქნება 300 ავტოძარა. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებით შარშანდელთან შედარებით შემცირდება ყურძნის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, ყურძნის ჩაბარებასთან დაკავშირებული მუშახელის რაოდენობა და დრო. ეს კი თავის მხრივ გაზრდის ჩამბარებლების დაინტერესებას მეტი რაოდენობით მიჰყიდონ ყურძენი სახელმწიფოს.

ავტოძარების მაქსიმალურად გამოყენების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ყურძნის 60-70 პროცენტი გადაზიდული იქნება მექანიზებულად, რაც 100 ათასი მანეთის ეკონომიას მოგვცემს, ხოლო ტელფერების გამოყენება — 50 ათასი მანეთის დამატებით ეკონომიას. მიმდინარეობს რეკონსტრუქცია და ახალი საორთქლე მეურნეობები შენდება ვანის, ახმეტის, არგვეთის, ცხაკაიას, გურჯაანის, მუკუზნის, ზესტაფონისა და სხვა ქარხნებში. ამით კარგი პირობები იქმნება ტარის სრულყოფილად დამუშავებისა და ტექნოლოგიური პროცესების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის.

საჭიროა მეღვინეობის მრეწველობის მუშაკებმა ენერგიულად იბრძოლონ წარმოების მაღალი კულტურისათვის, მეღვინე სპეციალისტებმა გონივრულად იმოქმედონ და ყურძენს მისცენ მიმართულება ჯიშების და ხარისხის შესაბამისად, უზრუნველყონ ტექნოლოგიური პროცესების ზუსტად შესრულება.

გულახდილად უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ვაზის ისეთი ჯიშების გაშენებას, როგორიც არის საფერავი, ჩხავერი, ოჯალეში, კრახუნა, ხიხვი, კაჭიჭი. ალადასტური და უსახელოური კი გადაშენების გზაზეა დამდგარი. ეს მაშინ, როცა ღვინის მრეწველობას მაღალხარისხოვანი ღვინის წარმოებისათვის ეს ჯიშები უსათუოდ ესაჭიროება. ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლება. მომავალში არ უნდა გვქონდეს ამ საქმეში ჩამორჩენა.

ყურძნის მოსავლიანობის ზრდამ გამოიწვია კონიაკის წარმოების გაფართოება. თუ გასულ წლებში ყოველწლიურად მუშავდებოდა კონიაკის სპირტად 2-3 მილიონი დეკალიტრი ღვინო-მასალა, წელს სექტემბრისათვის გადამუშავებული იქნება 7 მილიონი დეკალიტრი ღვინო. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში შეიქმნა კონიაკის სპირტის სახელი მძლავრი საამქროები, რომლებიც სრული დატვირთვის შემდეგ გადაამუშავებენ 9-10 მილიონ დეკალიტრ ღვინო-მასალას, რითაც გაიზრდება კონიაკის წარმოების ოქროს-ფონდი.

მკაცრი ღონისძიებები ხორციელდება იმისათვის, რომ ღვინის ქარხნებში არ იქნას დაშვებული რაიმე დანაშაული ყურძნის მიღების დროს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყურძნის ზუსტად აწონას, ხარისხისა და შაქრიანობის ობიექტურად განსაზღვრას, საბუთების სწორად გაფორმებას. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით მწონავებად და ანალიზატორებად შერჩეულ უნდა იქნან ისეთი პირები, რომლებიც ცხოვრობენ საწარმოების მოქმედების ზონაში და რომლებმაც კარგად იციან ეს საქმე, იმსახურებენ ნდობას და სარგებლობენ ავტორიტეტით. უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ბოროტმოქმედების არც ერთი შემთხვევა და დამნაშავენი დაუყოვნებლივ დაისაჯონ კანონის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მთავრობის 1970 წლის დადგენილებით მთის ზონის და სხვა არახელსაყრელ ბუნებრივ პირობებში მყოფი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების მიზნით ყურძენს მნიშვნელოვნად მოემატა შესასყიდი ფასი. ამ რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ამ მზრუნველობას საქმით უნდა უპასუხონ. ღვინის ქარხნები ვალდებული არიან ზუსტად შეასრულონ აღნიშნული დადგენილების მოთხოვნები.

მოდის ბარაქიანი შემოდგომა. სექტემბრის პირველ რიცხვებში ღვინის ქარხნებისაკენ დაიძვრებიან ყურძნით დატვირთული მანქანები, რაც გვაუწყებს რთვლის დაწყებას. ამ პერიოდში ისევე როგორც 1965 წელს ქ. თბილისში, ისე ქ. იალტაში (1-დან 10 სექტემბრამდე) მოეწყობა ღვინის, კონიაკისა და შამპანურის საერთაშორისო კონკურსი. უმაღლესი სამსჯავროს წინაშე წარსდგება ქართული მარკით მსოფლიოში აღიარებული და სახელმოხვეჭილი ქართული ღვინოების, კონიაკისა და შამპანურის 40-მდე ნიმუში.

რთველი წარმატებით დავამთავროთ. ჩვენს ნიმუშებს ვუსურვოთ უმაღლესი ჯილდოებით დაბრუნება.

სამტრესტის მრავალათასიანი კოლექტივი ქმედით ღონისძიებებს განახორციელებს იმისათვის, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდეს რთველს, მოიპოვოს ახალი წარმატებები და ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXIV ყრილობას, საბჭოთა საქართველოს და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს.

გ. თუშმალიშვილი,
სამტრესტის მმართველი.

# მსოფლიო დღეს

## დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტი

Მსოფლიო პრესა ფართოდ აშუქებს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებას, რომელსაც მოსკოვში მოაწერეს ხელი 12 აგვისტოს. საზღვარგარეთის პრესის გამოხმაურებებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა შორს სცდება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ორმხრივი ურთიერთობის ფარგლებს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ეს ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ევროპის უშიშროების განმტკიცებას და მთელი საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებას.

**პრაღა.** სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება თანამედროვე ევროპის სტატუს-კვოს გარანტიაა და სწორედ ამიტომ ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტია, ხაზგასმით აღნიშნა ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ.

**ბერლინი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა გაზეთი აქვეყნებს ვრცელ ცნობებს სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების დადების შესახებ. „ნოიეს დოიჩლანდი" პირველ გვერდზე ბეჭდავს ცნობას კრემლში ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიის შესახებ.

გამოქვეყნდა აგრეთვე ხელშეკრულების ტექსტი.

სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების დადება შეესაბამება დაძაბულობის შემდგომი შენელებისა და ევროპის უშიშროების ინტერესებს — ასეთი ერთსულოვანი აზრი გამოთქვეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილმა კომენტატორებმა და მიმომხილველებმა, რომლებიც გუშინ მონაწილეობდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტელევიზიით გადაცემულ საუბარში. გადაცემა მოეწყო მოსკოვიდან ხელშეკრულების დადების შესახებ რეპორტაჟების შემდეგ.

**ბონი.** დასავლეთ გერმანიის გაზეთები პირველ გვერდზე ბეჭდავენ ცნობებს მოსკოვში ბრანდტის ვიზიტის გამო, საბჭოთა ხელმძღვანელებთან მისი საუბრებისა და სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების დადების შესახებ.

„ზიუდდოიჩე ცაიტუნგი" წერს, რომ „გერმანიის მხარემ საბჭოთა კავშირის მხრივ განსაკუთრებული ყურადღების გამოვლინებად მიიჩნია ის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლეონიდ ბრეჟნევმა მიიღო ფედერალური კანცლერი და ესაუბრა მას".

„რაინიშე პოსტი" აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადებით" დაიწყო ფედერაციული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ახალი ეტაპი" და რომ ეს გავლენას მოახდენს ევროპის საერთო ვითარების გაუმჯობესებაზე.

**ვაშინგტონი.** სახელმწიფო მდივანმა უ. როჯერსმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები „კმაყოფილებით ეკიდება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების დადებას". სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ, ამერიკის შეერთებული შტატების აზრით, ახალი ხელშეკრულება მხოლოდ პირველი ნაბიჯია პროცესში, რომელიც გააუმჯობესებს ვითარებას ევროპაში.

**ნიუ-იორკი.** ამერიკის პრესა ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ევროპის უშიშროების პრობლემების გადაწყვეტისათვის საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ხელშეკრულებას.

„ნიუ-იორკ-ტაიმსი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსკოვის ხელშეკრულება „ცნობს ევროპაში ომის შემდეგ შექმნილი საზღვრების ურღვევობას". ამ გაზეთის სტატიაში ისტორიის პროფესორი დ. ბერნასი წერს, რომ ხელშეკრულების დადება ევროპაში „ომის შემდგომი დიდი ტერიტორიული მოწესრიგების მაჩვენებელია".

„ვაშინგტონ პოსტი" განმარტავს მოსკოვის ხელშეკრულებას და წერს, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი პუნქტია „ევროპაში არსებული სახელმწიფო საზღვრების შეუვალობის აღიარება".

## მომავალი შეხვედრა — ჰელსინკში

□

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე

□

**საბჭოთა** კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა შეთანხმების შესაბამისად 1970 წლის 16 აპრილიდან 14 აგვისტომდე ქალაქ ვენაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე. სსრ კავშირის დელეგაციას მეთაურობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციას — შეიარაღებისა და განიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორი ჯ. სმიტი.

როგორც კომუნიკედან ჩანს, მოლაპარაკების დროს საფუძვლიანად განიხილეს მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სტრატეგიული შეტევითი და თავდაცვითი შეიარაღების შეზღუდვის პრობლემასთან. გაიმართა ორივე მხარისათვის სასარგებლო აზრთა გაზიარება, რომელმაც საშუალება მისცა მათ უკეთ გარკვეულიყვნენ განხილული საკითხების მთელ რიგ ასპექტებში.

ორივე დელეგაციამ გამოთქვა სურვილი განაგრძონ მოლაპარაკება და იხელმძღვანელონ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ამოცანით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციათა მოლაპარაკება განახლდება 1970 წლის 2 ნოემბერს ქალაქ ჰელსინკში (ფინეთი).

◆

## ლ. სვობოდას გამოსვლა

ბრატისლავა, 13 აგვისტო. (საქდესი). მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფისათვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკია გამოდის საბჭოთა კავშირთან ერთიანი ფრონტით, იცავს მშვიდობისმოყვარე ხალხთა საარსებო ინტერესებს, განაცხადა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ აღმოსავლეთ სლოვაკიის ქალაქ გუმენეში გამართულ მიტინგზე. ყოველივე ეს ჩვენ ავსახეთ საბჭოთა კავშირთან ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაში, რომელიც ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების საფუძველია, ჩვენი შემდგომი სოციალისტური მშენებლობის გურჯია, ხაზგასმით აღნიშნა მან.

ლ. სვობოდამ თქვა, რომ საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია და სხვა სოციალისტური ქვეყნები ყოველ ღონეს ხმარობენ უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევისათვის.

გვახარებს, თქვა შემდეგ ლ. სვობოდამ, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსკოვის მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა და დაიდო ხელშეკრულება, მიგვაჩნია, რომ ეს მოასწავებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებას არა მარტო საბჭოთა კავშირთან, არამედ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთანაც.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა დამსწრეთ მოაგონა, რომ ჩეხოსლოვაკიამ სულ ცოტა ხნის წინათ აღნიშნა თავისი განთავისუფლების 25 წლისთავი, რომ თავისუფლება აღმოსავლეთიდან მოვიდა. მძლავრი საბჭოთა კავშირი და მისი მამაცი არმია რომ არ ყოფილიყვნენ, თქვა მან, ვერ მივაღწევდით ჩვენი ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღორძინებას.

ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტებსა და ყველა ნამდვილ პატრიოტს პირველი რესპუბლიკის წლებშივე ესმოდათ, რომ, თუ არ გვექნებოდა კავშირი და მჭიდრო მეგობრული თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან, ვერ დავიცავდით რესპუბლიკას ჰიტლერული ფაშიზმის შემოტევისაგან.

შეეხო რა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის 1968 წლის ამბებს, პრეზიდენტმა თქვა: პატიოსანი კომუნისტების, ყველა შეგნებული პატრიოტის პრინციპულობისა და სიმტკიცისა და მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოთა ინტერნაციონალური დახმარების შედეგად ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა რესპუბლიკამ თავიდან აიცილა კონტრრევოლუციური გადატრიალებისა და ძმათა სამოქალაქო ომის საფრთხე, საფრთხე, რომელიც ევროპის მშვიდობას ემუქრებოდა.

მრავალათასიანი მიტინგის მონაწილეებმა მისალმება გაუგზავნეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელშიც იწონებენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიისა და სლოვაკიის კომპარტიის პოლიტიკურ კურსს და აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განამტკიცონ და თვალისჩინივით გაუფრთხილდნენ მეგობრობას და მჭიდრო თანამშრომლობას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

## სსრ კავშირი ლაიფციგის ბაზრობაზე

**ბერლინი,** 13 აგვისტო. (საქდესი). საბჭოთა კავშირი ლაიფციგის 1970 წლის საერთაშორისო საშემოდგომო ბაზრობის უდიდესი საზღვარგარეთელი მონაწილეა. სსრ კავშირის ექსპოზიცია განლაგებული იქნება 4.500 კვადრატულ მეტრ ფართობზე.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატა აწყობს დიდ კოლექტიურ გამოფენას, ამავე დროს წარმოდგენილი იქნება დიდი კრებული წიგნებისა და ჟურნალებისა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება.

საბჭოთა კავშირი გამოფენაზე გამოიტანს დიდძალ სხვადასხვა ექსპონატს. დამთვალიერებელნი გაეცნობიან ყოველგვარ მანქანებს, მოწყობილობას, ნედლეულისა და ქიმიკატების სხვადასხვა ნიმუშებს. ისინი ნახავენ აგრეთვე ფართო მოხმარების საქონელს, რომელსაც საბჭოთა საწარმოები უშვებენ.

□

## პრესკონფერენცია პარიზში

**პარიზი,** 14 აგვისტო. (საქდესი). უკანასკნელ სხდომაზე არავითარი ახალი ელემენტები არ ყოფილა, განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის წარმომადგენელმა ნგუენ თხან ლემ პრესკონფერენციის დროს, რომელიც აქ გაიმართა ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირის 79-ე პლენარული სხდომის მუშაობის დამთავრების შემდეგ.

ნგუენ თხან ლემ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, რომლის ჯარებს ოკუპირებული აქვთ სამხრეთ ვიეტნამი, დასკვნა უნდა გამოიტანოს შექმნილი მდგომარეობიდან და შეწყვიტოს აგრესიული პოლიტიკა ინდოჩინეთში, გამოიყვანოს თავისი და სატელიტთა ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის წარმომადგენელმა ზიონგ დინ თხაომ კონფერენციაზე გამოსვლისას დაგმო შეერთებული შტატები იმისათვის, რომ მხარს უჭერს საიგონის ადმინისტრაციას, რომ ამერიკის მხარე სამხედრო ტყვეების საკითხს იყენებს ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის აზრის მოსატყუებლად და ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის შესანიღბად.



## ეროვნული დღესასწაული

Დღეს კორეელი ხალხი აღნიშნავს თავის დიდ დღესასწაულს — იაპონელი დამპყრობლებისაგან ქვეყნის განთავისუფლების 25 წლისთავს. 40 წლის განმავლობაში ბატონობდნენ კორეაში იაპონელი სამურაები, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეხშოთ კორეელ ხალხში ყველაფერი ეროვნული.

ნევის ნაპირებიდან „ავრორას" ზალპის ხმა მრავალტანჯული კორეის მიწასაც მისწვდა. დიდი ოქტომბრის იდეებმა გამოაღვიძა კორეელი გლეხების, მუშების, მოწინავე ინტელიგენციის კლასობრივი შეგნება. მიუხედავად იაპონიის იმპერიალიზმის რეპრესიებისა, მშრომელთა რევოლუციურ გამოსვლებს სულ უფრო შემტევი ხასიათი მიეცა. 30-იანი წლების დასაწყისში ამ გამოსვლებმა იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ უკვე შეიარაღებული ბრძოლის სახე მიიღო. კორეელმა კომუნისტებმა ქვეყნის შიგნით გაშალეს პარტიზანული მოძრაობა. 1945 წლის ზაფხულში საბჭოთა არმიამ რამდენიმე დღეში გაანადგურა იაპონელთა ცნობილი კვანტუნის არმია, რომლის ძირითადი ძალებიც მანჯურიასა და კორეაში იყვნენ თავმოყრილი.

საბჭოთა მეომრების მიმართ მადლიერების ნიშნად ფხენიანში მორანბონის მთაზე აღმართეს გრანიტის ოთხწახნაგოვანი მონუმენტი. ქვაზე რუსულ და კორეულ ენებზე ამოკვეთილია წარწერა: „სამარადისო დიდება საბჭოთა არმიას. — იაპონელთა უღლისაგან კორეელი ხალხის განმათავისუფლებელსა და მხსნელს!"

განთავისუფლების დღიდან, 1945 წლის 15 აგვისტოდან კორეელი ხალხის ცხოვრებაში ახალი ერა დაიწყო. ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებში მშრომელები კორეის შრომის პარტიის ხელმძღვანელობით შეუდგნენ სოციალიზმის შენებას, იაპონელი დამპყრობლების ბატონობის მძიმე შედეგების ლიკვიდაციას. ეყრდნობოდა რა მშრომელი მასების რევოლუციურ ენთუზიაზმს, კორეის შრომის პარტიამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიმართული იყო თავისუფალი ხალხის კეთილდღეობისაკენ. პარტიის ხელმძღვანელობით მთლიანად მოისპო კოლონიური ჩაგვრის აპარატი და შეიქმნა სახალხო ხელისუფლების ორგანოები — სახალხო კომიტეტები, რომლებმაც მოკლე ხანში შეცვალეს კორეელი მშრომელების ცხოვრების ეკონომიური დონე. ძირეულად გარდაიქმნა სოფლის მეურნეობა, სადაც რევოლუციის პირველი წლებიდანვე დამყარდა კოლექტიური შრომის ფორმები. დიდი წარმატებები იქნა მიღწეული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. სოციალიზმმა გაიმარჯვა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. სილატაკე, უმუშევრობა და შიმშილი ისტორიას ჩაბარდა.

სხვაგვარად წარიმართა სამხრეთ კორეის ბედი, სადაც იაპონელები ამერიკელებმა შეცვალეს. ამერიკელმა იმპერიალისტებმა რეპრესიების საშუალებით 1948 წლის მაისში მოახერხეს სამხრეთ კორეაში მოეწყოთ სეპარატული არჩევნები და შეექმნათ მარიონეტული მთავრობა ლი სინ მანის მეთაურობით. ამ რთულ პირობებში კორეის შრომის პარტიამ, სხვა პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დახმარებით, ჩაატარა საერთოკორეის არჩევნები უმაღლეს სახალხო საკრებულოში. მიღებულ იქნა კონსტიტუცია და შეიქმნა მთავრობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა კიმ ირ სენი. ასე შეიქმნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა.

1948 წლის ოქტომბერში საბჭოთა კავშირმა პირველმა დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობა კორეის თავისუფალ და სუვერენულ სახელმწიფოსთან. 1949 წლის მარტში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ. საბჭოთა და კორეელი ხალხები მხურვალედ მიესალმნენ ამ ისტორიულ აქტს, როგორც მეგობრობისა და ურთიერთდახმარების დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს.

ეს მეგობრობა ყოველდღე ვითარდება და მტკიცდება. საბჭოთა კავშირი ეკონომიური განვითარების საქმეში დიდ დახმარებას უწევს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას. საბჭოთა კავშირის დახმარებით რეკონსტრუირებულ იქნა და აშენდა 50-ზე მეტი სამრეწველო საწარმო და ობიექტი. თავის მხრივ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბ[illegible] სსრ კავშირს [illegible] [illegible] ტული რესპუბლიკის მნიშვნელოვანი მიღწევები სოციალიზმის მშენებლობის საქმეში ნაყოფია მუშათა კლასის, გლეხობის და სახალხო ინტელიგენციის გმირული და თავდადებული შრომისა.

საბჭოთა ადამიანებისათვის გასაგებია მოძმე კორეელი ხალხის მისწრაფებანი. მისი თავდადებული ბრძოლა სამშობლოს გაერთიანებისათვის. მშვიდობისმოყვარე და აყვავებულ კორეის ერთიანი სახელმწიფოს შექმნას მხურვალედ უჭერს მხარს საბჭოთა ხალხი. აღნიშნავენ რა კორეის განთავისუფლების 25 წლისთავს, საბჭოთა ადამიანები უსურვებენ მოძმე კორეელებს ახალ წარმატებებს სოციალიზმის მშენებლობაში და სამშობლოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

**ბ. კულაევსკი,**
საქდესის კორ.

**ფხენიანი.**





Სურათებზე: ზემოთ — ჩხონლიმის ძეგლი — ერთ-ერთი საუკეთესო ნაგებობა ფხენიანში. მუშისა და გლეხის ფიგურები მიაქროლებენ ფრთოსან რაშს; ეს თითქოს სიმბოლურად გამოხატავს ახალი კორეის გზას სოციალიზმისაკენ. ქვემოთ — ხიდი მდინარე ტედონგანზე ფხენიანში.

საქდესის ფოტოქრონიკა

## კორეელი ხალხის ზეიმი

**13 აგვისტოს** მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს კორეელი ხალხის ეროვნული დღესასწაული — საბჭოთა არმიის მიერ ქვეყნის განთავისუფლების 25 წლისთავი.

სტუმრებთან ერთად პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. თ. **მაზუროვი** და სხვები.

კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ა. მ. **კალაშნიკოვმა.** ჩვენი ხალხი, — თქვა მან, — მუდამ დიდი სიმპატიით ეკიდებოდა მოძმე კორეელ ხალხს, მხარს უჭერდა მის სამართლიან ბრძოლას, მუდამ ჟანდაროდ ეხმარებოდა და ეხმარება კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას სოციალიზმის მშენებლობაში.

კრებაზე გამოსულმა ორატორებმა აღნიშნეს, რომ კორეელი ხალხის დღესასწაული განუყოფელია შორეულ აღმოსავლეთში აგრესიის, ომისა და იმპერიალისტური რეაქციის ძალებზე საერთო გამარჯვების ზეიმისაგან. ამ ბრძოლაში გამოიწრთო საბჭოთა ხალხისა და კორეელი ხალხის საბრძოლო ძმობა და მათი ინტერნაციონალური კლასობრივი სოლიდარობა.

კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩის **რემ თხე ძიუნის გამოსვლას.** (საქდესი).

## დარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება

**ვაშინგტონი,** 14 აგვისტო. (საქდესი). **ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრთა უმრავლესობამ კვლავ მხარი დაუჭირა კანონპროექტს განათლების საჭიროებისათვის 4,4 მილიარდი დოლარის გამოყოფის შესახებ.** როგორც ცნობილია, სამი დღის წინათ პრეზიდენტმა ნიქსონმა ვეტო დაადო ამ კანონპროექტს ცხოვრების გაძვირების შეკავებისა და ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების საბაბით, მაგრამ, წარმომადგენელთა პალატამ 289 ხმით 114 ხმის წინააღმდეგ გააუქმა პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. ახლა საბოლოო სიტყვა ეკუთვნის სენატს, სადაც, როგორც იტყობინებიან, პრეზიდენტის ვეტოს მოწინააღმდეგენი აგრეთვე გვარიან უმრავლესობას შეადგენენ.

ვაშინგტონის მიმომხილველთა წარმომადგენელთა პალატაში კენჭისყრის შედეგები მიაჩნიათ კონგრესში რესპუბლიკური ადმინისტრაციისა და დემოკრატიული უმრავლესობის ურთიერთობის გამწვავების მორიგ ნიშნად, რაც გაპირობებულია ამერიკის კონგრესის მომავალი არჩევნებით.

## ბრძოლისა და განვითარების გზაზე

● 14 აგვისტო ინდოეთის დამოუკიდებლობის დღეა

Ადამიანები, რომლებმაც ათასობით მილი გაიარეს ფეხით, ჩამოვიდნენ ჯორებით, ოთხთვალებით, მატარებლებით, დილაადრიან შეგროვდნენ უზარმაზარ მოედანზე დიდებული წითელი ფორტის ციხესიმაგრის წინ, ცდილობენ რაც შეიძლება ახლოს დაიკაონ ადგილები ტრიბუნასთან, რომელზეც უნდა გამოჩნდეს ადამიანი ალისფერი ვარდით სადილეში.

...1947 წლის 15 აგვისტოს ფორტის კედლებთან შეკრებილებს ორასი წლის აურაცხელი უბედურება და ტანჯვა აშორებდათ იმ ბრძოლას, რომლის შედეგად ბრიტანეთის იმპერია გახდა მრავალმილიონიანი ინდოელი ხალხის ბედის მმართველი. ინდოელებს, რომლებიც სიხარულით შეხვდნენ ინგლისის პირველ სავაჭრო ხომალდებს, ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ინგლისელები მოტყუებითა და პირფერობით, უფრო ხშირად კი იარაღის ძალით გაიკვლევდნენ გზას ქვეყნის სანაპიროდან მის ღრმა რაიონებში და უწყინარი ვაჭრები გაუმაძღარ მტაცებლებად გადაიქცეოდნენ. მაგრამ ინდოელი ხალხი არ შეურიგდა მონობას. უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ სახალხო აჯანყებანი ვრცელდებოდა ქვეყნის სულ ახალ რაიონებში.

და აი დადგა ეს დღე—1947 წლის 15 აგვისტო. დილი. წითელი ფორტი. ადამიანმა ალისფერი ვარდით სადილეში—ინდოეთის ერთგულმა შვილმა, კოლონის უღლისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლმა ჯავაჰარლალ ნერუმ აღმართა დამოუკიდებელი ინდოეთის სამფერიანი ალამი.

მას შემდეგ ორ ათეულ წელზე მეტი გავიდა. ტერიტორიით და მოსახლეობით უზარმაზარი ქვეყანა, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის 200 წლის ბატონობამ თითქმის მოსპო ყველა წანამძღვარი დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარებისა თ ვ ი ს, გულდაჯერებით იკრებს ძალებს. ინდოეთი ერთ-ერთი პირველი გადავიდა აზიის კონტინენტზე ეკონომიკის გეგმაზომიერ განვითარებაზე.

დამოუკიდებელი განვითარების წლებში ინდოელმა ხალხმა დიდი წარმატებანი მოიპოვა, მაგრამ კვლავ გრძელდება ბრძოლა კოლონიური წარსულის მძიმე მემკვიდრეობის ლიკვიდაციისა და დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარებისათვის. ინდოეთში თქვენ ნახავთ არა მარტო მძლავრ ელექტროსადგურებს, არამედ წყლის თვალს, რომელსაც ათასი წლის ისტორია აქვს. მეტალურგიული გიგანტების გვერდით აქ ნახავთ ასობით წვრილ სახელოსნოს. ინდოეთის პრესაში არაერთხელ აღინიშნა, რომ სიძნელენი, რომლებსაც ინდოეთი აწყდება პროგრესის გზაზე, ბევრ შემთხვევაში გამოწვეულია ინდოეთის მონოპოლისტური დაჯგუფებებისა და უცხოეთის კაპიტალის წინააღმდეგობით.

ეკონომიურ განვითარებას მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწია აგრეთვე მემარჯვენე ელემენტების რეაქციულმა საქმიანობამ ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის შიგნით, რომელიც უკვე 23 წელია ქვეყნის ხელისუფლების სათავეში დგას. უკანასკნელი წლის ამბები დამაჯერებლად მოწმობენ, რომ განწირულია ჩასაფუშავად მემარჯვენეთა ზრახვები, რომლებიც ცდილობენ ინდოეთი ჩაითრიონ კაპიტალისტური დასავლეთის ორბიტაში, წაართვან მას ეკონომიური დამოუკიდებლობა. 1969 წლის 19 ივლისი „შავი დღე" გახდა ინდოეთის მონოპოლიებისათვის და მათი დამქაში პოლიტიკანებისათვის. ამ დღეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ გამოაცხადა ქვეყნის 14 უდიდესი კომერციული ბანკის ნაციონალიზაცია.

მთავრობის ეს ღონისძიება, რომელსაც ენთუზიაზმით შეხვდნენ ქვეყნის მოსახლეობის უფართოესი ფენები, პირველი ნაბიჯი იყო ვრცელი რადიკალური გარდაქმნების პროგრამის განხორციელების გზაზე. ამ ღონისძიების შედეგად გაძლიერდა ინდოეთის პოლიტიკური ძალების პოლარიზაცია, რამაც მას საშუალება მისცა გამოევლინებინა რეაქციონერთა ნამდვილი სახე. მემარჯვენე კონგრესმენები ჩამოშორდნენ პარტიას და მიემხრნენ ისეთი ტიპის აშკარა რეაქციულ ორგანიზაციათა ბანაკს, როგორიცაა „ჯან სანგჰი" და „სვატანტრა", რომლებმაც გააძლიერეს ისედაც გაშმაგებული თავდასხმების კამპანია განდის მთავრობის დემოკრატიული კურსისადმი.

ინდირა განდიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხსა და იმათ შორის, ვინც ილაშქრებს მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელთა მიზანია მისი მდგომარეობის გაუმჯობესება, მოსალოდნელია ხანგრძლივი და გაფთრებული ბრძოლა. მართლაც, მემარჯვენეები უბრძოლველად არ თმობენ თავიანთ პოზიციებს. რეაქციონერები ეყრდნობიან ისეთ პროფაშისტურ დაჯგუფებებს, როგორიცაა „რაშტრია სვაიამსევაკ სანგჰი" და „შივ სენა", რომლებიც ინდუისტური შოვინისტური ფანატიზმის დამკვრელი ძალაა, და ყოველგვარი მეთოდებით ცდილობენ შეაჩერონ ისტორიის გარდუვალი მსვლელობა.

მაგრამ მთავრობა კვლავ ახორციელებს პროგრესულ გარდაქმნებს. ბანკების ნაციონალიზაციას მოჰყვა ახალი სამრეწველო პოლიტიკა. მისი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია გააფართოოს სახელმწიფო სექტორის როლი ეკონომიკაში და შეზღუდოს მონოპოლიათა ზრდა. ეს საფუძვლად დაედო ინდოეთის სახელმწიფო ბიუჯეტს 1970-71 საფინანსო წლისათვის და რესპუბლიკის ეკონომიური განვითარების მეოთხე ხუთწლიანი გეგმის პროექტს.

ინდოეთს ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა აქვს, რომლებიც გადაწყვეტას მოელიან. ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა ეფექტიანი აგრარული რეფორმის მიღება, რომელიც ესოდენ აუცილებელია ქვეყნისათვის. სადაც სოფლის მოსახლეობის 80 პროცენტს დღემდე შეადგენენ მცირემიწიანი ან ისეთი გლეხები და სასოფლო-სამეურნეო მუშები, რომლებსაც სრულებით არ გააჩნიათ მიწა. მაგრამ როგორც ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ განაცხადა, ინდოეთში ქრის ახალი ქარი და მის წინაშე ახალი პერსპექტივები ისახება. ინდოეთის დამოუკიდებლობის დღეს საბჭოთა ადამიანები მის შრომისმოყვარე ხალხს გულწრფელად უსურვებენ შემდგომ წარმატებებს. (საქდესი).

• • •

**სურათზე:** პრეზიდენტის სასახლის ჭიშკართან ინდოეთის დედაქალაქ დელიში.

ფოტო
**ახალი ამბების სააგენტოსი**



### ზეიმი ბანგში

□ **ბანგი,** 13 აგვისტო. (საქდესი). დღეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ხალხმა ზეიმით აღნიშნა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის გამოცხადების 10 წლისთავი. ალმებით, პლაკატებითა და ტრანსპარანტებით მორთულ რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართა სადღესასწაულო პარადი. პარადი მიიღეს ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟან-ბედელ ბოკასამ, მთავრობის მინისტრებმა, შავი აფრიკის სოციალური ევოლუციის მოძრაობის პარტიის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა.

### ბარბაროსულად ბომბავენ

□ **ჰანოი,** 13 აგვისტო. (საქდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იმოწმებს „განთავისუფლების" სააგენტოს და დღეს იუწყება, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დასავლეთ ნამბოს ადგილობრივმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს ამერიკის ავიაციის თავდასხმას რატიზიისა და ჩავინის პროვინციების დასახლებულ პუნქტებზე.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 270 კაცი დაიხოცა 20 ივნისს, როცა ამერიკის ავიაცია თავს დაესხა ჩავინის პროვინციის ანსბიენის სანაპირო რაიონს.

29 და 30 ივლისს ამერიკის თვითმფრინავები 21-ჯერ დაესხნენ თავს ვინჰოის, ვინბინისა და ვინხუანის დასახლებულ პუნქტებს რატიზიის პროვინციაში, ასობით ბომბი დაუშინეს მშვიდობიან მოსახლეობას, მათს საცხოვრებელ სახლებსა და ბრინჯის ყანებს. მარტო ამ პროვინციაში დაბომბვამ ადგილობრივ მოსახლეობას მიაყენა 200 ათას პიასტრზე მეტი ღირებულების ზარალი.

### მეგობართა დახმარებით

□ **ბრატისლავა,** 13 აგვისტო. (საქდესი). ქალაქ ტრენჩინის ჩარხსაშენებელი ქარხანა სლოვაკიის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა. აქ წელიწადში უშვებენ ოთხი ათასამდე ლითონდასამუშავებელ ჩარხს. პროდუქციის სამი მეოთხედი იგზავნება საექსპორტოდ, უწინარეს ყოვლისა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებში.

საწარმოს კოლექტივი ყოველწლიურად ადიდებს პროდუქციის გამოშვებას. ახლა ქარხანაში მთავრდება ახალი დიდი საამქროს მშენებლობა. მას აგებენ უნგრელი მშენებლები. ახალ საამქროში დაიდგმება უახლესი მოწყობილობა, რომელიც შესაძლებელს გახდის უკვე გაისად 1,5-ჯერ გაიზარდოს ჩარხების გამოშვება.

## ფაქტები ტელეტაიპის ლენტიდან

### აფინანსებენ ტაილანდის ჯარებს

□ **გაზეთი** „ვაშინგტონ პოსტი" წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ტაილანდი შეთანხმდნენ, რომ კამბოჯაში ტაილანდის ჯარების გაგზავნას დააფინანსებს შეერთებული შტატები. ამასთან გაზეთი იმოწმებს ტაილანდის პრემიერ-მინისტრის კიტი-კაჩორნის განცხადებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაეხმარება ტაილანდელ ჯარისკაცთა გაგზავნის დაფინანსებაში, აგრეთვე ტაილანდში კამბოჯელ ჯარისკაცთა წვრთნის დაფინანსებაში.

### შეშფოთებას გამოთქვამენ

□ **ამერიკის** გაზეთები წერენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების არმიის წარმომადგენელმა აღიარა, ნერვულპარალიზური გაზიანი კონტეინერების გადატანა და ჩაძირვა საშიშია. პრესა იუწყება, რომ სულ ახალ-ახალი ქვეყნები გამოთქვამენ შეშფოთებას პენტაგონის ამ აქციასთან დაკავშირებით. სკანდინავიის პრესა გმობს ამ ნაბიჯს და აღშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს გაზიანი კონტეინერების ნაწილი ჩაძიროს ჩრდილოეთ ატლანტიკის შუანაწილში, რომელიც სკანდინავიის ნაპირებს ჩაუვლის.

### ცდილობენ ჩაშალონ შეთანხმება

□ **საზღვარგარეთის** პრესა ბეჭდავს დეპეშებს, რომლებიც აღწერენ მდგომარეობას სუეცის არხის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ. დასავლეთის პრესა ბეჭდავს ისრაელის თავდაცვის მინისტრის დაიანის სიტყვას, რომელიც აგრესიულ მოთხოვნებს შეიცავს. ზოგიერთი გაზეთი წერს, რომ ექსტრემისტულ წრეებს სურთ ჩაშალონ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება.

### ზარალი — 100 მილიონი

□ **ვენა,** 14 აგვისტო. (საქდესი). უამინდობამ, კოკისპირულმა წვიმამ ავსტრიაში გამოიწვია წყალდიდობა, მეწყერი, ნგრევა. როგორც აქ გახდა ცნობილი, წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ სოფლის მეურნეობას უამინდობამ 100 მილიონი შილინგი აზარალა.

### ჰყინავენ ხელფასის ზრდას

□ **ინგლისის** გაზეთები აქვეყნებენ ინგლისის მთელ რიგ პროფკავშირულ ლიდერთა განცხადებებს, რომ მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ჩაშალონ მთავრობის ცდები გაყინოს ხელფასის ზრდა. (საქდესი).

•

## ჯანმრთელობის სადარაჯოზე

# ყურადღების ცენტრშია ადამიანი

103,8 მილიონი მანეთი — [illegible]

[illegible]

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი მრავალმხრივი ზრუნვა ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის, — თქვა ამხ. ცანავამ, — მკაფიოდ გამოიხატება იმით, რომ განუწყვეტლივ უმჯობესდება მშრომელთა ყოფა-ცხოვრებისა და შრომის პირობები. პროფკავშირული ორგანიზაციები მტკიცედ იბრძვიან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის მზარდი გეგმების შესრულებისათვის. ისინი სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ ვაჭრობას, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის სამედიცინო, კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებათა მუშაობას.

მივმართოთ ფაქტებს: რესპუბლიკის ქარხნებში, ფაბრიკებში, დაწესებულებებში მუშაობს ასობით ჯანმრთელობის პუნქტი, სამედიცინო-სანიტარული ნაწილი. 20 სანატორიუმ-პროფილაქტორიუმში წარმოების მუშაკები იკაჟებენ ჯანმრთელობას სამუშაოს მოუწყვეტლივ. ქარხნის პეიზაჟის განუყოფელი ნაწილი გახდა სპორტული ნაგებობანი, ფეხბურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები.

პროფკავშირთა ყურადღების ცენტრშია მუშათა და მოსამსახურეთა საზოგადოებრივი კვების საკითხები, ახლა რესპუბლიკაში მუშაობს საზოგადოებრივი კვების ხუთი ათასზე მეტი საწარმო. ზოგ მათგანში ორგანიზებულია დიეტური კვება. დიეტური კვებისათვის, მაგალითად, წელს პროფკავშირებმა გამოყვეს 260 ათას მანეთზე მეტი.

დიდად საგულისხმო და მისაბაძია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროსა და სხვა-

[illegible]

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვაწყდებით ფაქტებს, როცა ცალკეულ საწარმოებში უგულებელყოფენ ჰიგიენის ელემენტარულ ნორმებს. ცუდი შესახედავია ხრამის ჰიდროელექტროსადგურის მუშათა მომარაგების განყოფილების სასადილო: მომსახურე პერსონალს ჭუჭყიანი ხალათები აცვია, სასადილოს წინ ყრია ცარიელი ყუთები, მაგიდებზე უამრავი ჭუჭყიანი ჭურჭელია, დროზე არ გააქვთ ნაგავი, არღვევენ საჭმლის მომზადების ტექნოლოგიას. სასადილოს მუშაკები ზერელედ ეკიდებიან სურსათის შენახვის სანიტარულ წესებს. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ აქ ისეთი პროდუქტების შენახვის ნორმებსაც კი არღვევენ, რომლებიც მალე ფუჭდება.

უკეთესად როდია საქმე ბზიფის სატყეო მეურნეობისა და განსაკუთრებით რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს მშენებლობათა სასადილოებში. ეტყობა, აქ სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები სულ არ აქცევენ ყურადღებას სასადილოების მუშაობას და, როგორც ჩანს, არც სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სამსახურის მუშაკებს აღელვებთ საქმის ასეთი ვითარება.

პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რათა სათანადო წესრიგი დამყარდეს ამ და სხვა ორგანიზაციათა სასადილოებში. საჭიროა, რომ თვითეულ მუშათა სასადილოში იყოს პირსაბანი, სუფრაზე იდგას ცივი წყალი, რადგან როგორც ცნობილია დამდგარ წყალში ბევრია ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერია. მოკლედ რომ ვთქვათ, თვითეული სასადილოს სამზარეულოსა და დარბაზში უნდა იყოს სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი, რათა აქ მოსულ მუშას შეეძლოს არა მარტო გემრიელად ისადილოს, არამედ დაისვენოს კიდეც.

პროფკავშირები დღენიადაგ უნდა ზრუნავდნენ მუშათა საერთო საცხოვრებლებისათვის. ბევრი რამ კეთდება იმისათვის, რომ თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო და კამვოლ-მაუდის კომბინატების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნისა და ქიმიური კომბინატის მუშების საერთო საცხოვრებლებში შეიქმნას კარგი პირობები, სიმყუდროვე, ამავე დროს რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის № 4, ბათუმის № 5, სოხუმის № 6 საერთო სამშენებლო ტრესტების, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის, „საქჰიდროენერგომშენისა" და „ინჟმშენის" ტრესტების საერთო საცხოვრებლებში არ იცავენ სანიტარიისა და ჰიგიენის წესებს, შენობები მოითხოვენ კაპიტალურ და მიმდინარე რემონტს, აქ არა აქვთ საშხაპეები, დასასვენებელი ოთახები და სხვ. დარწმუნებული ვართ, რომ ამ სამინისტროებისა და ტრესტების ხელმძღვანელები კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად ყველაფერს იღონებენ, რათა მუშათა საერთო საცხოვრებლებში შეიქმნას ნორმალური ცხოვრების ყველა პირობა, რომ ისინი შეესაბამებოდნენ სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურ მოთხოვნებს.

ჩვენი კურორტები რესპუბლიკის სიამაყეა. ყოველწლიურად დიდძალი სახსრები იხარჯება მათი შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობისათვის. პროფკავშირული ორგანიზაციები უფრო ყაირათიანად და საფუძვლიანად ეკიდებიან ჯანმრთელობის კერების მუშაობას. მაგრამ ჯერ ყველაფერი რიგზე როდია. ვერ შევურიგდებით, მაგალითად, იმას, რომ კურორტების, ჯანმრთელობის კერების ზოგიერთი ხელმძღვანელი არ ზრუნავს პლაჟებისა და პარკების დროულად დალაგებისათვის, სამხრეთში კი პლაჟი სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მთავარი „საპროცედურო" ადგილია.

საქართველოში, რომელმაც სრულიად საკავშირო ჯანმრთელობის კერის სახელი მოიხვეჭა, ყოველდღიურად ჩამოდის ათიათასობით ადამიანი, რომლებსაც არა აქვთ არც სანატორიუმის საგზური და არც საკურსო საგზური. დამსვენებელთა ეს დიდი ჯგუფი უნდა უზრუნველვყოთ კვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით, საცხოვრებლითა და კვებით. კურორტების პოლიკლინიკებმა ამბულატორიული ზედამხედველობა და სპეციალიზებული დახმარება უნდა გაუწიონ ყველას, ვინც მათ მიმართავს.

პროფკავშირული კულტურის სახლებისა და კლუბების საქმიანობაში დიდი ადგილი უნდა ეთმობოდეს სანიტარიულ პროპაგანდას, მოსახლეობის ჰიგიენურ აღზრდას. ამ მხრივ კარგად არის საქმე თბილისის ჭავჭავაძის სახელობის მედიცინის მუშაკთა კლუბში. მნიშვნელოვნად უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, ჩვენი აზრით, თბილისის სანიტარიული განათლების სახლს. იგი მოწოდებულია აგითარებდეს მოძრაობას ყოფა-ცხოვრებასა და წარმოებაში სანიტარიული კულტურის ამაღლებისათვის. ბევრი რამ შეუძლიათ საწარმოთა სამედიცინო სანიტარიულ ნაწილებში, ჯანმრთელობის პუნქტებში მომუშავე ექიმებს. მათი ცოცხალი სიტყვა, კონკრეტული მაგალითებისა და ფაქტების კარგად გამოყენება ხელს შეუწყობს ჰიგიენისა და სანიტარიის დარგში მშრომელთა ცოდნის გაფართოებას.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს ყოველთვის თავიანთ უშუალო მოვალეობად მიაჩნდათ ზრუნვა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის. ეს უმნიშვნელოვანესი უბანი მათი კოლექტიური საქმიანობის ყურადღების ცენტრშია.

(საქდესი).

## ჩვენს კურორტებზე



ყოველწლიურად სულ უფრო მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება კურორტი ხაირმე. სურათზე: ახალი სასტუმროს „ზეკარის" საერთო ხედი.

ფოტო ა. ჩარკვიანისა.

## საქართველოს ეთა-ბარში

[illegible]

## ინგურზეც ანკარა წყალი

[illegible]

## მშრომელთა მომსახურებისათვის

[illegible] ახალი სასწავლო სახელოსნოები გახსნეს დაბა მაიაკოვსკში და წითელხევში, ხოლო საპარიკმახერო — მაღალმთიან სოფელ ხანში.

## „ლიტერატურნაია გრუზია" № 8

ჟურნალის ამ ნომრის პოეზიის განყოფილება წარმოდგენილია ელიო მირცხულავას (თარგმანი ვლადიმერ ლუგოვოისა), ანა კალანდაძის (თარგმანი ელენე ნიკოლაევსკაიასი), ალეკო შენგელიას (თარგმანი ლევ პენკოვსკისა და იური რაზუმოვსკისა) ლექსებით, მურმან ლებანიძის ლექსებით ციკლიდან „ბრილკის ყვავილები" (თარგმანი იური რიაშენცევისა) და ზაურ ბოლქვაძის ლექსებით (თარგმანი სიმონ შახბაზოვისა).

პროზის განყოფილებაში გრძელდება პუბლიკაცია თენგიზ გოგოლაძის რომანისა „კაცი კაცითა" (კამილა კორინთელის თარგმანი). მკითხველი აქ წაიკითხავს აგრეთვე ოთარ ჩიჯავაძის რომანის „თვითმკვლელების" თავებს (თარგმანი ავტორისა) და ვანო ურჯუმელაშვილის მოთხრობას „გერმანელი ჯარისკაცის დღიურიდან" (თარგმანი ბორის პუგაჩოვისა).

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია ოთხი სტატია: „შუა საუკუნეების მსოფლიო ეთიკური პოეზია" და „ვეფხისტყაოსანი" ალექსანდრე ბარამიძისა, „რუსთაველის პოემის ჟანრული კუთვნილებისა და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მისი ადგილის საკითხისათვის" პეტრე შარიასი, „გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობები", დაწერილი გურამ გვერდწითლის მიერ, და „პოეტური ძიების სილამაზე", რომელშიც ფილიპე ბერიძე არჩევს პოეტ შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებას.

რუბრიკაში „ლიტერატურული ურთიერთობა" წაიკითხავთ შოთა რევიშვილის მასალას „გერტრუდა პეჩი და მისი წვლილი მეცნიერებაში", რომელიც მოგვითხრობს ერთ-ერთ წამყვან საზღვარგარეთელ ქართველოლოგზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან.

„არ დუმდება წინასწარმეტყველურ სიტყვათა ზარები" — ასე ეწოდება სოფიო გველესიანის ნარკვევს ცნობილ ქართველ მეცნიერ ლინგვისტ გ. ვ. წერეთელზე.

ნომერი მთავრდება როინ მეტრეველის სტატიით „თამარ მეფის სახე ქართულ ხალხურ შემოქმედებაში"

## „ოქროს კვარტეტი"

ლესტერის (ინგლისი) ტრეკზე ბრძოლა მიწყნარდა. მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე სპორტსმენები კი საგზატკეცილო ველორბოლას შეუდგნენ.

საბჭოთა სპორტსმენებისათვის სტარტი ჩინებული აღმოჩნდა. მათ საგზატკეცილო გუნდურ რბოლაში 100 კილომეტრზე პირველი ადგილი და ჩემპიონობა მოიპოვეს. დრო — 2 საათი, 12 წუთი და 18 წამი. საშუალო სისწრაფე საათში შეადგენდა 45,351 კილომეტრს, ჩვენი „ოქროს კვარტეტის" შემადგენლობაში იყვნენ ვ. იარდი, ბ. ბუხოვი, ბ. ლიხაჩოვი და ვ. სოკოლოვი.

მეორე საპრიზო ადგილი ხვდათ ჩეხოსლოვაკიელ ველომრბოლებს — 2:12.46, მესამე — მექსიკის ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონებს — ჰოლანდიელ ველომრბოლებს — 2:12. 54.

### ამერიკელთა ტურნე

ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ოლიმპიური ნაკრება მოსკოვში. კიევსა და ტალინში რვა მატჩს გამართავს. 16 აგვისტოს ჩვენს სტუმრებს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში, პაექრობა ექნებათ ჩეხოსლოვაკიის გუნდთან. ეს იქნება იმ ტურნირის ერთ-ერთი შეხვედრა, რომელშიც გარდა ამ ორი გუნდისა მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის კლუბებისა და ახალგაზრდული ნაკრები გუნდები.

საბჭოთა კლუბების ნაკრებში არიან ს. და ა. ბელოვები, ა. ჟარმუხამედოვი, ა. კრიკუნი, პ. ტომსონი, მ. პაულაუსკასი, ა. ბალაშოვი, ლ. ივანოვი, ა. ბოლშაკოვი, ვ. ფედოროვი, ი. ედეშკო, ე. კოვალენკო, ა. ტამისტე.

### ოთხთა ტურნირი

ტალინში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში სსრ კავშირის პირველი და მეორე, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიისა და ესტონეთის ქალთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ტურნირზე წარმატებით გამოვიდა სსრ კავშირის პირველი ნაკრები, რომელმაც სამივე შეხვედრა მოიგო და პირველი ადგილი დაიკავა.

## „ლ ი ლ ე"

## პამირის უშბაზე

დიახ, პამირზეც არის უშბის მწვერვალი. მისი სიმაღლე 5.500 მეტრია, მაგრამ აბა ეცადეთ ასვლა მის ქათქათა მწვერვალზე, — უფლებას არ მოგცემთ! პამირის უშბა ყოველთვის მრისხანე და მიუდგომელია, საშიშია მისი ციცაბო კლდეები. ალბათ სწორედ ამიტომ იზიდავს ბევრ მთამსვლელს. მაგრამ ყველას როდი უხსნის გულს პამირის უშბა, მხოლოდ ყველაზე უშიშართ.

უშბა მწვერვალს დაარქვეს 1958 წელს ქართველმა მთამსვლელებმა, რომლებსაც პამირის უშბა მუდამ კეთილად ხვდებოდა. წელსაც ახალგაზრდა სპორტსმენებმა შაქრო გაბისიანის ხელმძღვანელობით წარმატებით დალაშქრეს მიუდგომელი მწვერვალი. ავდრიან ამინდში ექვსი მამაცი მთამსვლელი სამ დღეს ადიოდა მწვერვალისაკენ. მიუდგომელ კედელზე და ბოლოს, ძლიეს იგი. გაშრმო დაირხა დიდებულია „ლილეს" ჰანგები.

ჯგუფში შედიოდნენ ახვლედიანი, ბარლიანი, მინდაძე, გურჩიანი და კვიციანი.

პამირის უშბა მერვე მწვერვალია, რომელიც პამირზე მყოფმა ქართველმა მთამსვლელებმა დაიმორჩილეს.

დ. გედენიძე,
(საქდესის სპეც. კორ.).

## კომუნისტი სპორტი

## ჩვენი ინტერვიუ



# ესტრადაზეა რაშიდ ბეიბუთოვი

დღეს თბილისში გასტროლებს ამთავრებს აზერბაიჯანის სიმღერის სახელმწიფო თეატრი, რომლის ხელმძღვანელია ცნობილი მომღერალი რაშიდ ბეიბუთოვი — სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (პოპულარულ მუსიკალურ კინოკომედია „არშინმალალანში" მთავარი როლის ბრწყინვალე შესრულებისათვის).

რაშიდ ბეიბუთოვის სიმღერებს სხვადასხვა დროს უსმენდნენ სირიისა და კაიროს საოპერო თეატრებში, ჰელსინკის დიდ საკონცერტო დარბაზში, ბელგიის სამეფო და ადის-აბების საიმპერატორო თეატრებში, სტამბოლისა და თეირანის მუზიკ-ჰოლებში, ვენის ფილარმონიასა და ავღანეთის „ქაბულნანდარის" თეატრებში, მას ხშირად უმღერია მოძმე სოციალისტურ ქვეყნებშიც...

სპექტაკლის შემდეგ სახელოვან მომღერალს რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— პატივცემულო რაშიდ, როგორც ახლო მეზობელი, ალბათ, ხშირად სტუმრებიხართ თბილისს.

— მაპატიეთ, მაგრამ თქვენს კითხვას ცოტაოდენი კორექტივი სჭირდება. მე თითქმის თბილისელი გახლავართ და ამიტომ ტრადიციული ცნება „სტუმარ-მასპინძლის" ცნებისა ჩემს ამ ქალაქთან ურთიერთობის განსაზღვრაში ვერ გამოდგება... — მშვენიერი ქართულით მიპასუხა რაშიდმა, — დიახ, მე თბილისში დავიბადე და ოც წლამდე აქვე ვიზრდებოდი. ჩემი ხიყმაწვილისა და განსწავლის წლები ამ საყვარელ ქალაქთან არის დაკავშირებული. ახლა გინდა სტუმარი მიწოდეთ, გინდა მასპინძელი. მე კი თბილისში მუდამ ისე ვგრძნობ თავსა და ისევე ვმღერი, როგორც თბილისელი თბილისში... თბილისელებისათვის სიურპრიზად ჩამოვიტანეთ ქართული სიმღერა „ლალები", ეს სიმღერა აქ ბევრ ჩამოსულს შეუსრულებია, მაგრამ ჩვენ შევეცადეთ წმინდა ქართულით გვემღერა. როგორ მოვახერხეთ ეს, ამის მსაჯული თქვენი მსმენელია.

— ამ ახლო პერიოდში თქვენი თეატრი სად გამოდიოდა და სად აპირებთ მომავალში გამგზავრებას?

— მოვიარეთ ყირიმის კურორტები, ვიყავით ბათუმში. თქვენი რესპუბლიკის შემდეგ გავემგზავრებით ბაქოში, მოსკოვში, ლენინგრადში, შემდეგ კი საზღვარგარეთ მივემგზავრებით.

— პატივცემულო რაშიდ, თუ შეიძლება გვითხარით თქვენი სიმღერებიდან უფრო მეტად რომელი გიყვართ? რომელ ქალაქში უფრო სიამოვნებით გამოდიხართ?

— მართალი გითხრათ, ამაზე არასოდეს დავფიქრებულვარ. ალბათ იმიტომ, რომ ყველა სიმღერა მიყვარს, რადგან სანამ არ შევიყვარებ, მას „ჩემად არ ვაქცევ", არ ვიმღერებ. ანდა მითხარით, სიმღერა, რომელიც არ მომწონს, რა ძალა მადგას რომ ვიმღერო?! ჩვენს ქვეყანაში ყველგან სიხარულით ვმღერი, განსაკუთრებული მღელვარებით კი ჩემს ბაქოსა და საყვარელ თბილისში გამოვდივარ.

ო. იაშალაშვილი.

## ვ. რ. პაპუნიძე — ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი



საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის გაადგილების, სპეციალიზაციისა და პერსპექტიული დაგეგმვის განყოფილების გამგემ, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა ვახტანგ რაფიელის-ძე პაპუნიძემ საქართველოს შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის საკითხები".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ვ. რ. პაპუნიძისათვის ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

## რადიო

16 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 08.30 — მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთ „საქართველოს პიონერის" საკვირაო გამოშვება, 11.45 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები, 12.05 — მუსიკალური რადიოაფიშა, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 14.00 — მოსწავლეთათვის. „იყალთოელი ბიჭები". რადიოდადგმა, 15.00 — „მეგობრობის კონცერტი". ტრანსლაცია ერევნიდან, 15.30 — ქართველი პოეტების ლექსები, 16.15 — რადიოჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — ა. პახმუტოვა. მუსიკა კინოფილმებიდან, 17.45 — ა. ბუკია. ნაწყვეტები ოპერიდან „ყვავილთა სამყაროში", 18.10 — კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 19.00 — დ. შენგელაია „წითელი ყაყაჩო". რადიოდადგმა, 19.30 — საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი, 20.30 — ციკლიდან „იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ!" — მაიაკოვსკის რაიონი, 21.00 — კონცერტი მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთათვის, 21.30 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.50 — ა. ჩიმაკაძე. სიმღერები, 23.30 — მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ტელევიზია

**● შაბათი, 15 აგვისტო**

11.30 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან); 11.45 — ბავშვებისათვის — „მხიარული ქალაქი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.15 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.00 — საქართველოს სსრ ორჯონიკიძის სახელობის რაიონის კულტურის სახლთან არსებული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (გადმოცემა ლენინგრადიდან), 14.10 — „იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ" — ლანჩხუთის რაიონი (9 აგვისტოს გადაცემის გამეორება), 15.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი — „მედოლის ბედი", 16.30 — ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „პრინცესა ლუსკას სანაპირო", 17.20 — გადაცემა — „აბაშელი მესიმინდეები" (განმეორებით), 17.40 — ახალი ამბები, 17.45 — გადაცემა ბავშვებისათვის — „რატომ, საიდან, რისთვის", 18.20 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — კონცერტი, 19.15 — ეზოსა და ქუჩის გუნდების საკავშირო შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე — II ტაიმი (გადმოცემა დონეცკიდან), 20.00 — „კანონიერების სადარაჯოზე", 20.25 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან — შენი ადგილი სად არის (სტუდიაში მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე), 21.20 — „იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ" — ქალაქი ბათუმი, 22.25 — გერმანული მხატვრული ფილმი „გამოცანა „მერსედესი", 23.45 — მსოფლიო ჩემპიონატი ფარიკაობაში (გადმოცემა ზაპოროჟიედან).

**● კვირა, 16 აგვისტო**

11.00 — საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის დღე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — სატელევიზიო თეატრი ბავშვებისათვის (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.10 — ბავშვებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი — „ცისკარა", 13.25 — კინოპროგრამა, 14.30 — „მუსიკა ბრატისლავიდან" (გადმოცემა მოსკოვიდან), 15.10 — „კინოაფიშა", 15.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა. — ფრანგული მხატვრული ფილმი „გააზნაურებული მდაბიო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — კონცერტი — „მღერის მარიო ლანცა", 19.40 — კინონარკვევი, 19.50 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „კინომოგზაურთა კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — „ოქროპირი" — სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 21.45 — გადაცემა ციკლიდან — „დოკუმენტური კინო ბრალს სდებს", 22.25 — საესტრადო-გასართობი პროგრამა — „კვირა საღამოს", 23.10 — მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში (გადმოცემა მოსკოვიდან).

**● ორშაბათი, 17 აგვისტო**

18.00 — ეზოსა და ქუჩის გუნდების საკავშირო შეჯიბრება „ტყავის ბურთის" პრიზზე (გადმოცემა დონეცკიდან), 19.00 — „ეს ყველამ უნდა იცოდეს", 19.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — 1. „გლობუსი", 2. სატირული კინოჟურნალი „ფიტილი", 20.25 — კონცერტი, 21.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე — „დინამო" მინსკი — „დინამო" მოსკოვი. მეორე ტაიმი (გადმოცემა მინსკიდან), 21.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 22.10 — მხატვრული ფილმი, 23.40 — საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში — საბჭოთა კავშირი-ჩეხოსლოვაკია (გადმოცემა მოსკოვიდან).

**● სამშაბათი, 18 აგვისტო**

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი, 12.45 — საბჭოთა კავშირის საჰაერო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი გადაცემა. სატელევიზიო ნარკვევი „ოკეანე ფრთებს ქვეშ" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.00 — ახალი ამბები, 18.05 — კინონარკვევი, 18.15 — განცხადებები, 18.20 — გადაცემა — „ბანაკი ტაშისკარში", 18.50 — ახალგაზრდობისათვის — „ფოლადის ფრთებზე", 19.10 — გადაცემა — „გეგმა, ხარისხი, მოგება", 19.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — 1. სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „პატარა სიმღერა", 2. „ოქტომბრის პირმშო", 21.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — საერთაშორისო ტურნირი კალათბურთში — საბჭოთა კავშირი-ამერიკის შეერთებული შტატები (მოსკოვიდან), 22.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა.

**● ოთხშაბათი, 19 აგვისტო**

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — მოსწავლეთათვის — „გრაფი და ჯადოსნური ჯოხი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — კინონარკვევი, 12.00 — გერმანული მხატვრული ფილმი „გამოცანა „მერსედესი", 13.20 — „საბჭოთა კავშირის ხალხთა ატლასი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — მხატვრული ფილმი „მოგიზგიზე კლდეების განძეული", 19.35 — „თქვენი საყვარელი მწერალი", 20.05 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — მოქმედებაში, 20.25 — „საინტერესოა ვიცოდეთ", 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — კინონარკვევი, 21.25 — ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები, 22.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — მხატვრული ფილმი „მადამ ბოვარი" (გადმოცემა მოსკოვიდან).

**● ხუთშაბათი, 20 აგვისტო**

11.05 — ახალი ამბები, 11.15 — „საინტერესოა ვიცოდეთ" (გამეორებით), 12.00 — მხატვრული ფილმი „პაროლი საჭირო არ არის" (I და II სერია), 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „მეფის ახალი სამოსი", 19.25 — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში — „ოკამის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებიდან", 20.05 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — „მწვანე ფოთლის საიდუმლოება", 20.55 — სატელევიზიო ფილმები „არღანი" და „ქვევრი", 21.30 — „დრო" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 — „ქართული სპორტის მატიანე", 22.30 — როსინის ოპერა „აბრეშუმის კიბე" (იტალიის ტელევიზიის ნაწარმოები).

**● პარასკევი, 21 აგვისტო**

11.05 — ახალი ამბები, 11.15 — როსინის ოპერა „აბრეშუმის კიბე" (იტალიის ტელევიზიის ნაწარმოები), 12.25 — მხატვრული ფილმი „მუქთახორა", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — ბავშვებისათვის — „ნეპტუნი — ბანაკში", 18.45 — კინონარკვევი, 19.05 — „კანონიერების სადარაჯოზე", 19.30 — კონცერტი, 20.05 — ახალგაზრდობისათვის — „მგზნებარე ჭაბუკი", 20.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.55 — საქართველოს ფერადი ტელევიზია — 1. კონცერტი, 2. კინოდარბაზი, 22.05 — კინონარკვევი, 22.15 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „ცეკვავს მაჰმუდ ესემბაევი" (გადმოცემა მოსკოვიდან).

## კინო

15 აგვისტო

ოქტომბერი — **განთავისუფლება** (I, II სერია); ამირანი (საზამთრო), ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), გაზაფხული, სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, თბილისი, ეკრანი, სპორტი — **ჰაიდუკების შურისგება;** ამირანი (საზაფხულო), ბათუმი, ვარძია, გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზამთრო); ოფიცერთა სახლი, კოლხიდა (საზამთრო) — **დანაშაულთა სამყაროს პროფესორი;** საქართველო (მწვანე დარბაზი), კოლმეურნე. სიხარული — **მაზანდარანელი ვეფხვი;** საქართველო (საზაფხულო) — **დედა გათხოვდა;** ისანი (საზაფხულო) — **ქალიშვილთა შეთქმულება;** 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო), ყაზბეგი (მეორე დარბაზი), კომკავშირელი — **პური სიყვარული და ფანტაზია;** კოლხიდა (საზაფხულო) — **ოჰ, ეს პაპა;** ნაკადული — **შავი ტიტა;** თანამგზავრი — **სერენადა დიდი სიყვარულისა;** პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო) — **დოლაპია;** გორკის სახელობის კულტურის სახლი — **სიყვარულის ასაკი.**

## ლაპარაკობს და უჩვენებს თბილისი

## ჭადრაკის მერიდიანებზე

☐ კალინინგრადში მოჭადრაკე ქალთა შორის სსრ კავშირის თასის გათამაშების მესამე წრეში გავიდნენ — კაკაბაძე, მოსიონჟიკი, რანიკუ, კასინოვა, მუსლიმოვა, გოლოვეი, ანდრეევა, პინჩუკი, ჩიქობავა, პოდრაჟანსკაია, ლემაჩკო, კისლოვა, კალოშნიკოვა, მედიანიკოვა, კონსტანტინოვა.

☐ დნეპროპეტროვსკში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშების მესამე წრე ჭადრაკში ვაჟთათვის. ა. ლუტიკოვმა მოუგო ი. კოცს, ვ. სავონმა — ს. ჩეჩელიანს, მ. რუდერფერმა — ა. ალბურტს, ვ. მიკენასმა — ბ. კატალიმოვს. ვ. ფაიბისოვიჩმა ორჯერ დაამარცხა მ. ცეიტლინი. დანარჩენ პარტიებში, მათ შორის ოთხი გროსმაისტერის შეხვედრაში ყაიმები აღინიშნა.

## რამდენიმე სტრიქონით

● ათენი. ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში სსრ კავშირის ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდმა დაამარცხა იუგოსლავიის ნაკრები 86:64 და ფინალში გავიდა, სადაც შეხვდება საბერძნეთის გუნდს.

● კოტკა. ფინელმა მეორე მძიმე წონის ძალოსანმა ვ. ლანდინრანტმა აქ გამართულ შეხვედრაში აიტაცა 176,5 კილოგრამი წონის შტანგა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

● სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა სპორტის მეხუთე საკავშირო სპარტაკიადაზე გუნდურ ჩათვლაში წინ არიან რსფსრ-ის სპორტსმენები — 226 ქულა. საქართველოს გუნდს 179 ქულით მეოთხე ადგილი უჭირავს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა კომპოზიტორი

**ვანო ილიას-ძე მურადელი**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რედაქტორის მოადგილე
ბ. თათარიშვილი.

კომუნისტი
ჩვენი მისამართი და ტელეფონები
[illegible]
КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443
უა 03717
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.